

0.022923050.

კ ე ც ე ლ

1980640

კ ლ ი ნ ე ბ ა რ ე ბ ა
კ ლ ი ნ ე ბ ა რ ე ბ ა

თ ე რ ა ს



ო თ ხ ე ბ ი ს ი გ ა დ ა მ ა რ ე ბ ი
1860 - 1904

ცხოვრება—მოლვაწეობა.

(გარდაცვალებიდან 25 წ. შესრულების გამო)

၅၄၀၈၂

თ ხ ე ბ ი

კავკ. წით. დროშოვან
ჯარის სტამბის
გან ყოფილება
გორკის ქუჩა № 1.
მთავლ. № 627
ტირ. 1.000

ლადო აღნიაშვილი

(1860—1904)

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ცუდად წომ მაინც არა ჩაივლის
ეს განჭირულის სულისკვეთება!
და, გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!.

6. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

ი, სიცოცხლის დანიშნულებისა და ყოფელი მოაზ-
როვნე-მოღვაწის მაღალი მცნება, რომლის წარმოთქმა
თამამად შეეძლო ლადო აღნიაშვილს.

ლადო აღნიაშვილი იყო უკეთოლშობილესი საზო-
გადო მოღვაწე, მაღალი იდეალებით გატაცებული, გა-
რეგნობით ახოვანი, საამო შესახედავი, სულით მგზნე-
ბარე და მუდამ ფაქიზი, რომლის გარდაცყალებიდან 25
წლის თავი შესრულდა 1929 წლის 23 აპრილს.

ლადო აღნიაშვილი მოღვაწეობდა იმ ხანაში, როცა
ჩვენში ჩამკვდარი იყო საზოგადოებრივი აზრი, როცა
გონიერი სიბნელე იყო გამეფებული იმდროინდელ სა-
ზოგადოების თითქმის ყველა ფენაში,

შართალია, ამ დროს ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე საზოგადო და სამწერლო სამსახურის მიზნით გატაცებული თითო-ოროლა პირი სჩანდა, მაგრამ მათი ხმა იყარგებოდა „ხმად მღალადებელისა უდაბნოსა შინა“... იყვნენ მაშინ ეგრედწოდებული პოლიტიკური ერთეული და დაჯგუფებანიც, მაგრამ მათი მუშაობა ჯერ კიდევ შესაფერ კვალს ვერ აჩენდა საზოგადოებრივ ცხოვრების მსვლელობაზე.

ოფიციალურ ინტელიგენციის უმეტესობა კი, უმთავრესად, კინკლაზაში იყო ჩაფლული: ხშირად პირადი ინტერესები საზოგადო საქმეს ჩრდილავდა.

ლადო აღნიაშვილი ერთად-ერთი თუ არა, ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ჩაკლულ ეროვნულ კულტურის აღდგენა პრაქტიკულად დაიწყო.

ლადო აღნიაშვილი იყო, რომ თვით არა მუსიკოსმა, მაგრამ ბუნებით მუსიკის ღირსების დამფასებელმა, შეადგინა პირველი ქართული ეროვნული გუნდი, ქართულ სიმღერების ნოტებზე გადაღებას საძირკველი ჩაუყარა და პირველი ეროვნული კონცერტი გამართა.

ლადო აღნიაშვილმა ხალხურ შემოქმედების შეკრება-გამომზეურებას ცხადი და გარკვეული სახე მისცა.

მან საერთო რუტინის მეფების დროს პედაგოგიკაში ახალი სხივი შეიშუქა.

ლადო აღნიაშვილი იყო, რომ შორს სპარსეთში გადასახლებულ ქართველების ძიება დაიწყო.

ლადო აღნიაშვილი მოღვაწეობდა ჩვენში სასცენო ხელოვნების ასაყვავებლადაც... გარდა ამისა, მან მცირე ჯგუფთან ერთად, საძირკველი ჩაუყარა ჯერ საყმაწვილო ურნალის („ნობათი“-ს), გამომცემლობას, შემდეგ „ქარ-

თვეელთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობას“, რომელმაც
უდიდესი სამსახური გაუწია ქართული მწიგნობრობის
აღორძინებას ჩენები.

ლადო აღნიაშვილმა დაიწყო ტფილისში პირველი
საკონპერაციო საქმე („შუამავალი“).

ეინ იყო, რა ცოდნისა და გამოცდილების კაცი იყო
ყოველივე ამ საზოგადო საქმის ინიციატორი და, ბევრ
შემთხვევაში, ხელმძღვანელიც?

ვ ი ნ ა მ ბ ა

ვლადიმერ (ლადო) დიმიტრის ძე აღნიაშვილი კა-
ხელი იყო, სასულიერო წოდებისა. დაიბადა 1860 წ.
სოფ. შილდას, თელავის მაზრაში, მღვდლის ოჯახში.
პირველდაწყებითი სწავლა ლადომ მიიღო თელავის სასუ-
ლიერო სასწავლებელში და, რადგან მღვდლობა არ
ინდომა, გორის სამასწავლებლო სემინარიაში შევიდა, სა-
დაც საუკეთესოდ დაამთავრა სწავლის კურსი (1881 წ.).
კურსის დამთავრებისათანავე, ალ. მირიანაშვილთან ერ-
თად, ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში შე-
ვიდა მასწავლებლად,—ის იყო ამ სასწავლებლის ქართუ-
ლი ენის პირველი მასწავლებელი. ორი წლის შემდეგ
ტფილისის ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში
გადავიდა მასწავლებლადვე. აქ დიდი სიყვარული და პა-
ტივისცემა დაიმსახურა სკოლის ზედამხედველ-გამგეთა და
მოწაფეთა. ლადომ, როგორც ნიჭიერმა პედაგოგმა, ისე
გაიტაცა მოწაფენი, რომ ისინი ხარბად დაეწაფენ გა-
თვითცნობიერებას. თვით ლადო დიდი შრომის მოყვარე
იყო, ბეჯითი, მუჟაითი; თითქმის მუდამ წიგნების კით-

ხეაში გართული, ასეთსავე შრომისმოყვარეობის უნარს უნერგავდა იგი ყველას — როგორც მოწაფეებს, ისე სხვებს, ვინც ერთხელ მაინც ნახავდა მას.

შეხედულებით, როგორც ზეჭით ქთქვით, იყო მშვენიერი, წარმოსადეგი ვაჟკაცი, შავი წვერ-ულვაშით, ცოცხალი გამომეტყველების, თავაზიანი, ზრდილობიანი, საამო ბოხი ზმიანი, როგორც იტყვიან—დათაფლული მოსაუბრე.

მის დროს ქართველი ინტელიგენციის უძეტესი ნაწილის ოჯახები გადაგვარების სენით იყვნენ დაავადებულნი: ამ დროს საქმე ბევრი იყო გასაკეთებელი, გამკეთებელი კი ძლიერ ცოტა: ეს იყო პატარა წრე გატაცებულ საზოგადო მოღვაწეთა.

ძნელი იყო საზოგადო საქმეში არა თუ თანამონაწილეთა გამოძებნა, არამედ უბრალო თანამგრძნობის მოპოებაც კი.

ასეთ ხანაში დაიწყო ლადო ალნიაშვილმა საზოგადო მოღვაწეობა.

კედაგობი (1881—1893)

ჩვენი მწიგნობრობისა და, საზოგადოდ, კულტურული წინსვლის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზია მოსახლეობის საერთო ჩამორჩენილობა. რევოლუციამდე მაღალი, უფლება-მოსილი საზოგადოება თუ ახერხებდა სწავლა-განათლების მიღებას, თორემ ფართე მშრომელი მასებისათვის დახშული იყო გონებრივი განვითარების გზა. ამას თან ერთვოდა ის სიძნელეც, რომ ქართულ ენაზე არ იყო სახელმძღვანელოები. რუსული ენის შეთვისება ეძნელებოდა ბავშებს,



(1860—1904)

ლადო აღნიაშვილმა ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და ქართული დაწყებითი სკოლებისთვის შეადგინა რუსული ენის შესასწავლი სახელმძღვანელო „პირველი ნაბიჯი“.* ეს წიგნი დაუპირისპირა იმ დროის სკოლებში სახელმძღვანელოდ შემოღებულ წიგნებს (უშინსკის, ვოლოვოზოვის და სხ.), რომლებიც, მისი აზრით, „სრულებითაც არ აკმაყოფილებს თავისი დანიშნულების შესაფერ მოთხოვნილებათა... ამგვარი სახელმძღვანელოებით ენის შესწავლაში ძლიერ დიდი და ამასთანავე შეუსაბამო შრომა მიუძღვის პატარა ბავშვს და თუ ძლიერ დახელოვნებული და ნამდვილი მასწავლებელი არ შეხვდა, შეიძლება სარგებლობის მაგიერ, დააზარალოს თავისი მოსწავლეები. აი, ამის გამო განვიზრახე და შევადგინე სახელმძღვანელო წიგნი ჩვენ სკოლებში სახმარებლად „პირველი ნაბიჯი“ რუსული ენის შესწავლაში“, სწერდა ლადო აღნიაშვილი 1883 წ. 9 მარტს ამ სახელმძღვანელოს ბოლოს — „რამდენიმე სიტყვა“-ში და შემდეგ მოკრძალებით ამბობდა: „ამითი ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ ეს წიგნი დააკმაყოფილებს თავისი დანიშნულების ყოველგვარ მოთხოვნილებას და ან ეს ნამდვილი „ვარდი-სახარია“-მეთქი. სრულებითაც არა! მე მხოლოდ ვცდილობდი, რომ ცოტად თუ მეტად შემემცირებინა ბავშებთათვის „ჯოჯონხეთი“ და, მაშასადამე, შეძლებისა დაკვალად დამეკმაყოფილებინა უუპირატესი პედაგოგიური მოთხოვნილებანი.***) მე თავიდანვე ვგრძნობ, რომ ამ წიგნს ბევრი ნაკლულევანები აქვს ჯერჯერობით“-ო და სხ.

*). Первыи шаг в изучении русского языка для началь- ных грузинских школ. Составил Агниашвили. Изд. центр. книжн. торг., Тифлис, 1883 г. 92 стр., ц. 40 коп.

**) ხაზგასმული აქ და შემდეგაც ჩემია.

ასეთი სიფრთხილით ეპყრობოდა სწავლის საქმეს ლადო აღნიაშვილი.

ეს წიგნი შეიცავს ხუთ ნაწილს: I—ლექსიური გაკვეთილები, II—ანბანი, III, IV და V—ცალკე სიტყვები, ყოველნაირი სავარჯიშოები, მოთხრობები, მცირე ლექსიკონი, რუსული წერის დედანი და სურათები. იგი რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის მიერ ქართულ სკოლებში სახმარებლად დაშვებული იყო.

მაგრამ ლადო აღნიაშვილი მარტო ამ სასკოლო სახელმძღვანელოს შედგენით არ დაკმაყოფილდა,—მას არანაკლებ აინტერესებდა სკოლის გარეშე განათლება. ამ მიზნით, ლ. აღნიაშვილმა, ათიოდე წლის მუშაობის შემდეგ, გამოსცა „ახალი ანბანი“. მართალია, ამ დროს არსებობდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, მაგრამ იგი უფრო სკოლებისათვის იყო დანიშნული. ლადო აღნიაშვილმა აქაც თავისებურება გამოიჩინა: „ახალი ანბანი“ სრულიად ახალი გეგმით და შინაარსით იყო აგებული, ყოველ ასოზე თითო წიგნაკი, სათანადო მასალით შედგენილი, საუცხოო სურათებით შემკული და კოპტიად გამოცემული, მაგ., ან—წერა-კითხვა, ბან—წვრილი ხალხური ლექსები, გან—წვრილი ხალხური ამბები, დონ—წვრილი ხალხური ამბებივე, ენ—გასართობი, ვინ—პატა ბოტანიკა, თან—პატა ზოოლოგია და სხ. სულ გამოვიდა, ვგონებ, კან-ამდე. ოვითოეული წიგნაკი შეიცავდა 32—64 გვ. ყოველ წიგნაკს ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა აკაკის მკვირცხლი ლექსი, ამა თუ იმ ასოს და საგნის შესაფერი, აღმზრდელობითი მნიშველობისა, მაგალითად:

პატარა მინერალოგია (სამეცნ მაღნეულთა)

თავგანწირულსა მუშასა

ვერ შეაშინებს ვერავინ:

ვერც ცეცხლი, წყალი, ვერც ტყვია,

მაგრამ ისწავლე ჯერ ეს „ვ“.

ამ ანბანის ხუთი წიგნაკის გამოცემას მოაყოლა პატარა წერილი „წინასიტყვაობის მაგიერი“, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერდა:

„დღეს ჩვენში დიდ საჭიროებას შეადგენს საზოგადოდ რიგიანი საყმა წვილო წიგნები და კერძოდ ლაზათიანი რამ საშინაო ანბანი. ჩვენ ამ განზრახვით დავიწყეთ „ახალი ანბანის“ გამოცემა და თუ რომ ეს ჩვენი განზრახვა ცოტად მარნც განახორციელებს იმ ჩვენ იმედებს და, მცირედიც არის, შეავსებს ზემოხსენებულ ნაკლს, მაშინ ჩვენც გულით და სულით კმაყოფილი ვიქმნებით ამ საჭმისა“.

მართლაც, წიგნაკები გამოცემული იყო ლაზათიანად, მანამდე არ არსებული სიმშვენიერით; იაფად (თითო 10—20 კ.), წმინდა ხალხური ენით, დახვეწილი შასალით.

ეს გარემოებაც კი საკმაოდ ნათელჰყოფს, თუ რა უანგარო, ხალხის განათლების მონატრული უნდა ყოფილიყო ლადო აღნიაშვილი!.. ვისაც რითი შეეძლო, ხელი უნდა შეეწყო ამ გამოცემის გავრცელებისათვის და შემდგენი ყოველნაირად წაეხალისებინა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა: პირადი შურით, უვიცობით თუ სხვა განზრახვით მის წინააღმდეგ გაილაშქრეს და, სხვათა შორის, იმ დროის ცნობილმა მწიგნობარმა პაატამ (ფსევდონიმია ერთი პედაგოგისა და მწერლის) გაზ. „ივერია“-

ში (1893 წ. № 20) აუგით მოიხსენია „ახალი ანბანი“, და საზოგადოებას მოუწოდა: „ნურავინ შესცდებით მისის სიიაფით“-ო, ე. ი. ნუ იყიდითო. ამას უკვე რაღაც ქიშ-პობისა და გულლვარძლიანობის ელფერი ედო. ამის გამო ლადომ გაზ. „ივერია“-ს დასაბუთებული წერილი წარუდგინა, მაგრამ რედაქციამ ეს წერილი არ დაბეჭდა. ლადო იძულებული შეიქმნა იგი ცალკე წიგნაკად გამოეცა სათაურით: „პასუხად ქაჩალ კრიტიკოსს, პაატას და ორი შეკითხვა „ივერიის“ რედაქციისადმი“ (ტფ. 1893 წ.).

ამ საპასუხო წერილმა გამოაშვარავა ლადოს საპოლემიკო ნიჭითან ერთად, მისი საფუძვლიანი მომზადება პედაგოგიკაში და საერთო განვითარება.

მას, როგორც პედაგოგს, თავიდანვე საკუთარი გეზი ჰქონდა ალებული. მისი მთავარი მცნება იყო სახალხო განათლება. აი, როგორ უყურებდა ამ საგანს ლადო აღნიაშვილი:

„...არც ერთი შეგნებული ხალხი არ იშურებს არავითარ ხარჯს და შრომას, ოღონდაც-კი წესიერ გზაზე დავაყენოთ ჩვენში აღზრდა შთამომავლობისათ. ერთი რომ უმაღლეს სასწავლებლებს ამრავლებს, მეორე ორივე ხელით ღაპბლაუჭებია მხოლოთ სახალხო განათლებას, მესამე მთელ თავის ყურადღებას აპყრობს პროფესიონალურ სწავლას. იქ, იმ შეგნებულ ხალხში დღითი-დღე წარმატება-შია საქმე აღზრდისა და სწავლისა; აქვთ აგრეთვე მდიდარი საყმაწვილო ლიტერატურა; იმართება და იმართება საყმაწვილო „პრიუტები“, საყმაწვილო ბალები; დაარსდა ლიგა ხალხთა შორის განათლებისა.

„ჩვენ? ჩვენ, შენი ჭირიმე, თქვენი კეთილი თვალიცა ჰედავს, რომ არა გვაქვს არც საკუთარი სკოლები საზოგადოდ, არც სახალხო სკოლები კერძოდ, არც პირველდაწყებითი სავალდებულო სწავლა, არც საყმაწვილო „პრიუტები“, არც საყმაწვილო ბაღები, არც საყმაწვილო ლიტერატურა და არა თუ ესენი,—არა გვაქვს სურვილი მისი შექმნისა, არა გვაქვს სიყვარული კითხვისა, ერთის სიტყვით, არა გვაქვს ხშირად უბრალო ცნობისმოყვარულობაც-კი. მერე, რა და ვართ ესე?—ე,—ხო, მადლი ათასი უფალსა, ინტელიგენცია გამრავლდა, პედაგოგებიც ბლომადა გვყვანან და არც ჩვენა ვართ შეუგნებელი ხალხიო. შეუგნებელი რად ვიქმნებით, რო შემგონებელიც გვყვანდეს, მაგრამ აი სწორედ ეს არის უბედურება, რომ ინტელიგენცია არა ჰყავს ჩვენს ხალხს შესაფერი. პედაგოგებისა ხო რალა მოგახსენოთ! თქვენ იქნება ყველა მასწავლებელი პედაგოგი გგონიათ? ეს დიდი შეცდომა იქმნებოდა: ქუსაც-კი აქვს ოთხი ფეხი, მაგრამ ნახირში არავის გაურევია“.

ასეთი სიფხიზლით ახასიათებს ლადო აღნიაშვილი იმდროინდელ სწავლა-განათლების მდგომარეობას. და ინტელიგენციას,—შემდეგ რიგ-რიგად ჰყოფს-რა მასწავლებელთ, განაგრძობს:

„ამათ მოსდევენ... მანქანა მასწავლებელნი.

ესენი არაფერს ასწავლიან გარდა კარიელი სიტყვებისა... ეს ის ჯურა გახლავთ მასწავლებლებისა, რომელნიც დღეს ჩვენში

კარგა საკმარისად გამრავლდნენ“...

აქ ლ. აღნიაშვილს მოყავს მაგალითი ლოთა და უზნეო მასწავლებლისა და ამბობს:

„სამწუხაროა ჭეშმარიტად, როდესაც ესეთი წმიდათა წმიდა მოვალეობა, როგორიც არის აღზრდა ახალთაობისა, წაიმწიკვლების ამგვარ ულირს აღმსრულებელთაგან... რაღა გვიჭირდა, ჩვენ რომ მასწავლებლები კაი მომზადებული ხალხი გვყოლოდა: ჩვენს ბერს, როგორც იტყვიან, ძალლიც ვერ დაჰყეფდა!“

აი, როგორ ახასიათებდა ლ. აღნიაშვილი მასწავლებელს ორმოცი წლის წინად და ეს დახასიათება ხომ დღესაც ბევრ შემთხვევაში ზედგამოჭრილია, მასწავლებელთა დახასიათების შემდეგ ის კითხულობს:

„გვაქვს თუ არა ჩვენ სკოლები?“ და აქვე უპასუხებს:

„როგორ არა: აქამდისინ იყო საერო განათლების სკოლები იხსნებოდა ყველა სოფელში, ეხლა—და ამას მიერატა—სასულიერო წოდების სკოლებიც... მაგრამ განა ამას ჰქვიან სახალხო განათლება?“

კრიტიკის დარჯაკში ატარებს-რა ამ სკოლებს, რომელთაც ხალხს ახვევდნენ თავზე, ის ამბობს:

„სწავლა ნამდვილი ბუნებითი მოთხოვნილებაა ყოველი ადამიანისა და ისევე ვერ გასძლებს ხალხი უსწავლელად, როგორც ვერ გასძლებს იგი უჰაეროდ... რას აკეთებს ამ დროს ამ ხალხის ინტელიგენცია და ანუ რა გაუკეთებია. ხალხისათვის?—გადაავლეთ თვალი დღევანდელ ჩვენ საყმაწვილო წიგნებს—სასწავლო გამოცემა იყოს იგი თუ სალიტერატურო, სულ ერთია...“

ეს ახპატელოვისა, ეს მდივანოვისა, ესეც ბ. მიხეილ ნასიძისა; ახალ-ახალ გამოცემა „ყარამანიანისა“, ესეც „ქუჩუკ ყარამანიანისა“ და სხვ... ამათ უნდა შეაყვარონ ყმაწვილსს კითხვა, უნდა შეაყვარონ მეცნიერება, უნდა შეაყვარონ სამშობლო ისტორია, სამშობლო მხარე, სამშობლო ენა, სამშობლო ლიტერატურა; ამათ უნდა აღუზარდონ მას ზნე და ხასიათი, ამათ უნდა აღუზარდონ მას გული“.

ლ. აღნიაშვილს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი წიგნის უვარესობისა ერთ-ერთ სახელმძღვანელოდან და ასკვნის:

„უნდა ვიცოდეთ, თუ არა, რა წიგნები აქვთ ჩვენ ბავშვებს ხელთ“, რომ ჩვენი „ახალი ანბანი“-ს შედგენა-გამოცემის საჭიროებაც ნათელი გახდესო“...

ზემორე ხაზგასმული ადგილები გვიჩვენებენ, ლადოს როგორი სწავლა-აღზრდა სურდა, სკოლის და წიგნებისაგან რას მოითხოვდა, თვით რა შინაარსის წიგნებსაც გამოსცემდა. და მართლაც: მისი „ახალი ანბანი“ ამ გეგმით იყო დაწყებული.

„ახალი ანბანი“ უნდა გამოსულიყო 33 პატარ-პატარი წიგნაკად. თვითოული მათგანი შეიცავდა, როგორც უკვე გაკვრით იღვნიშნეთ, წერა-კითხვის შესწავლის დაწყებიდან ყოველგვარ მასალას—სახალხოს, სამწერლოს, მეცნიერების ყოველ დარგს,—ლადო აღნიაშვილის სიტყვითვე რომ ვსთქვათ, ეს წიგნაკები შეიცავდა ყოველგვარ პირველდაწყებითი ცოდნას. ანუ პირველ-დაწყებითი ცნობებს მეცნიერების ყოველგვარი დარგისას, ე. ი. ეს იყო ერთ და იმავე დროს ანბანი ცოდნისა, ანბანი წერა-კითხვისა და მეცნიერებისა... ყოველი ნაწი-

ლი ამ ანბანისა ცალკე დამთავრებული წიგნი (კარი) იყო, ერთად-კი—ანგანი ყოველგვარი ცოდნისა...

„პედაგოგისა ერთა წაკითხვა როდი კმარა,— განაგრძობს თავის პასუხში პაატასადმი ლ. ალნია. შვილი: უნდა ერთი ათჯერ წაიკითხა, სხვათა ავტორებს შეუდარო, შემდეგ შენი ტვინის საქაჯავში გაატარო, მერე საქმით გამოსცადო და მხოლოდ მაშინ შეგიძლიან მაგრე ყოყლოჩინობაო“...

დაუწუნა-რა სიძველის მომხრეობა, დაუმტკიცა-რა, რომ ძველად არსებულ მეთოდიკას ვერ გასცილებია, აღნიაშვილმა საკუთარი მეთოდი წარუდგინა:

ჩვენს წიგნებში „შეტანილია ისეთი რამ, რაც გამოიწვევს ყმაწვილის მიერ დაკვირვებას, ყურადღებას, მოსაზრებას, მსჯელობასა და თვითმოქმედებას... არ ვინდომე თქვენი ამოწერილი ადგილები მეთოდიკებისა, რადგან იგინი სკოლის იქით არ სცილდებიან და ჩვენ კი... სკოლას გვერდი ავუარეთ“, რადგან ახლანდელი სკოლა ჩვენს ხალხს შესაფერის ცოდნას არ აძლევსო.

პაატამ ალნიაშვილს ხალხურ ნაწარმოების შესახებაც უსაუკვედურა. ლადომ აქაც მტკიცე რწმენით ჩატკრა იგი:

„ჩვენ ძალიან დიდს და ათასჯერ კიდევაც დიდს ყურადღებას ვაჭცევთ ჩვენის ხალხის ნაწარმოებს და პირველად ჩვენ ვალირსეთ, მხის სხივები ჩვენს წიგნებში მოქცეულ ხალხურ ნაწარმოებთ“-ო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლადო ალნიაშვილმა იმ დროის კვალობაზე წიგნის გამოცემის საქმეში დიდი ცოდნა და გემოვნება გამოიჩინა. ამავე წერილში, სწორედ ამ საგნის შესახებ, ლადო პაატას უმტკიცებს:

„გაიგე და შეიტყო, რომ წიგნში, რომელიც პირ-ველად ჩაუვარდება ხელში ყმაწვილს, ყოველმხრივ უნდა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს და ღრმა ნაკვალევი დასტოვოს მის გონებაში“ *).

და ამ გემოვნებას ლადო, წიგნების გამოცემაში, ყოველთვის მტკიცედ იცავდა.

დასასრულ, ლადო პაატას წერილებს „ივერიის“ რეზაქციის „ნამდვილი კორექტურული შეცდომა“-ს უწოდებს.

ლადოს ეს პასუხი ყოველმხრივ საბუთიანი იყო, მაგრამ პაატას წერილმა მაინც დათვური სამსახური გაუწია ჩვენს მოზარდ თაობას: ლადომ ამ წიგნების გამოცემა ვირ დასრულა,—და ამის მიზეზი იყო არა მარტო პაატას გამოლაშქრება, არამედ ზოგიერთების თავმოყვარეობის გაღიზიანებაც: უჩემოდ ვინ ბედავს საზოგადო საქმის სამსახურს, საბავშო წიგნებისა და ანბანების გამოცემასო!..

რა თქმა უნდა, ლადომ ამ წიგნაკების გამოცემის საქმეში ნივთიერად ძლიერ ბევრი იზარალა, მის რაინდულ ხალხურ გატაცებას ნივთიერად არავინ შეუწყო ხელი. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ამ წიგნაკებმა მაინც საფუძველი დაუდო სახალხო-საბავშო სამეცნიერო-პედაგოგიურ წიგნაკების გამომცემლობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ალნიაშვილი თანამშრომლობდა საბავშო უურნალ „ჯეჯილში“ და სხვ.

როგორც მასწავლებელი და აღმზრდელი, ლადო ყოველ მოსწავლისთვის მისაზიდი იყო, მოწაფის სულიერი ვითარების მცნობი და საგნის უმარტივესად გადამცე-

*) ლადო აღნიაშვილი. „პასუხად ქაჩალ კრატიკოსს, პაატას და ორი კათხვა „ივერიის“ რედაქციისადმი, ტფ. 1893 წ.

მი, თითქმის თვითეულ მოწაფეს სულში უძრებაო... საპროგრამო საგნების გარდა, მოწაფეებს უნერგავდა ბუნებისა და მეცნიერების შესწავლისადმი ლტოლვას გათვითცნობიერებისა და თვითგანვითარების წყურვილს.

გ უ ნ დ ი (1885 — 1889)

ლადო აღნიაშვილმა საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისათანავე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხალხის სულიერ საგანძუროს, რომელსაც თითქმის არავინ არაფრად აგდებდა: ეს იყო ეროვნულ-ხალხური სიმღერები.

ამას დიდი თანხა უნდოდა, მკვიდრი ორგანიზაცია და მუსიკის ცოდნა, მაგრამ ლადო ამას არ შეუშინდა: მცირე ჯამაგირის პატრონმა, 1885 წ. განიზრახა ამ საჭმის შესრულება... თვით ლადომ მუსიკისა არა იცოდა-რა, თუმცა დაფასება შეეძლო; ხალხური სიმღერები არ იყო თავმოყრილი და ნოტებზე გადაღებული, არ იყო გუნდი, (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სასულიერო სემინარია-ში არსებულ რუსულ-ქართულ მგალობელთა გუნდს, რომელიც სემინარიის კედლებს ვერ გასკილებოდა).

ლადო აღნიაშვილი ვერც ერთმა ამ დაბრკოლებამ ვერ შეაფერხა. მან იცოდა, რა ულიდესი მნიშვნელობა აქვს მუსიკას აღამიანის გრძნობათა აღზრდისათვის.

საჭირო იყო ქართველ ხალხში ჯერ კიდევ დარჩენილ სიმღერა-კილოების, ხალხის სულის ამ უმაღლესი შემოქმედების, შეკრება-აღდგენა, მათი ნოტებზე გადაღება და მერე ერში გავრცელება.

ამ მიზნის განხორციელებისათვის ლადომ მიმართა წოგიერთ ახალგაზრდას, მაგრამ მათგან მწარე დაცინვის მეტი არაფერი მიიღო. მაშინ საკუთრივ შეუდგა საქმეს: მოიწვია გუნდში მონაწილეთა მსურველნი. მის მოწოდებას 70-მდე ყმაწვილი კაცი გამოეხმაურა, რომელთაგან მხოლოდ 25 აირჩია, როგორც საუკეთესო ხმებიანი. საჭირო იყო სიმღერის მასწავლებელი. პირველად მიმართა ერთ პოლონელს, ამ საქმის მცოდნეს, ვინმე ფელიქს ქსავერის ძე პეტელ ჩიცს, რომელმაც ჯერ თანხმობა გამოუცხადა, შემდეგ-კი ისეთი ჯამაგირი მოითხოვა, რომ ლადო იძულებული იყო სხვა ეძებნა, და, აი, მართლაც მიაგნო ჩეხს—იოსებ ივანეს-ძე რატილს, რომელმაც გუნდის მონაწილე თითო კაცზე თვეში თითო მანათი მოითხოვა (თუ გუნდში 25 კაცზე ნაკლები არ იქნებოდა), ნოტებზე გადასაღები საფასური კალკე უნდა მიეღო და აგრეთვე კონცერტის შემოსავალის მეოთხედი.

ლადო ყველა ამ მოთხოვნას დასთანხმდა იმ პირობით-კი, რომ იმავე 1885 წ. შემოდგომაზე გამართული ყოველი კონცერტი; საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოიწვია ხალხურ სიმღერების საუკეთესო მცოდნე გლეხები და მათი ნამღერები ნოტებზე გადააღებინა.

აი, სხვათა შორის, რა მოგვითხრო ამ პირველი კონცერტის სამზადისისა და ლადოს მიერ სიმღერების შეკრების შესახებ ხალხურმა მწერალმა, ვასილ კირვალიძემ:

„1885 წ. შემოდგომას, ვარ. ბაქრაძემ მთხუვა შემეკრიბა კარგი რაჭველი მომღერლები და დანიშნულ დროზე მიმეყვანა აღნიაშვილთან, სადაც ისიც მოვიდოდა... მე შევაგროვე რვა კაცი: თ. და ალ. არჩვაძენი, ნ. გძელი-შვილი, თ. კერესელიძე, მე და სხ. დაწიშნულ დროზე მი-

ვეღით ლ. აღნიაშვილთან (ანჩისხატის ქ. ფირუზმოვის სახლი, ზემო სართულში). აღნიაშვილმა თავაზიანად მიგვიღო. მასთან ამ დროს სხვებიც იყვნენ. ჯგუფს მე ვმეთაურობდი. სალამისა და გაცნობის შემდეგ, ჩაი მოგვიტანეს, რამდენიმე სიმღერა ვსთქვით, მარა ძლიერ ვმორცხობდით. ეს შეგვნიშნა ლადომ და მეორე ოთახში მიაძიხა დიასახლისს:

— რაჭველებს ასე არ უყვართ; ესენი პურადი ხალხია და შენ იცი, თუ გაგვიმასპინძლდებიო.

რამდენიმე წუთში სასადილო მაგიდა გაგვიშალეს. ჩემმა მომღერლებმა რამდენიმე ჭიქა გადახუხეს. და მართლაც გაბედულად შემოსძახეს, გაიმართა კარგი ლხინი. წამოსვლისას ლადომ მთხოვა, რომ ჩემი მომღერლებით ჩუღურეთში მივსულიყავი რატილის ბინაზე. დანიშნულ დროზე მივედიოთ რატილთან. დაგვხვდა რამდენიმე კაცი. ჩვენ გვამღერა რატილმა. ხები და სიმღერები მოეწონა. მან გვითხრა: ორი კვირა უნდა იაროთ, რომ დავამუშაო თქვენი სიმღერებიო. ჩვენც დავდიოდით. რატილი გულმოდგინებით და დაუზარელობით მუშაობდა. მართალია, ქართული არ ესმოდა, მაგრამ დაწყებას, მოძახილს და ბანს კარგად ახერხებდა. რატილმა ჩვენგან ნოტებზე გადილო ჰემდეგი სიმღერები: 1) „ოს იმძრა“ (ისტორიული), 2) „მალლა მთას მოდგა“ (ისტ.), 3) „ქალსა ვისმე ერქვა შროშანა“, 4) „მიყვარს ამფერად სუფრა გაშლილი“, 5) „შავო ყურშაო!“, 6) „ოი, ქრისტე ალსდგა!“, 7) „ქვედრულა“ და სხ. ყველა ეს იმ დროს ძლიერ მოწონებული სიმღერები იყო. ლადო ყოველთვის დადიოდა რატილთან. ძლიერ უხაროდა და მოსწონდა რატილის შრომა. აღნიაშვილმა გვითხრა: მალე კონცერტს გავმართავ და თქვენც მოგიწვევთო“.

ერთ რუსულ ხელწაწერ „გუნდის მატიანე“-ში *) ჩამო-
თვლილია. შემდეგი „ახალი ქართული სიმღერები“: 1) წე-
ვური „ოდილა“, ნადური, კ. მაღრაძისა; 2) „ჭონა“, იმე-
რული, მისივე; 3) „ნანინა“, იმერული, მისივე; 4) „წითე-
ლო ვაშლო“, კახური, კ. ოჩეულიშვილისგან შესწავლილი;
5) „ოდელა და დელია-დელა“, კახური, მისგანვე; 6) „პა-
ტარა საყვარელო“, ქორიძისა; 7) „გალიაში რომ გაგზარ-
დე“, მისივე; 8) „ზამთარიო“, ბ. სარაჯევის; 9) „სიდო-
ბურდიანელა“, მისივე,—ამისივეა შემდეგი ექვსი (10—15)
სიმღერა: 10) „მშვიდობით, ძმაო!“, 11) „ფერსა ბნელს“.
12) მამითადი, 13) გვიბრძანე, 14) „გახსოვს ტურთავ“...
15) „მუშა ბოქულაძე“; 16) „ნუ სტირ“... დემონიდგან
რუბინშტეინისა; 17) „ვაიმე, დედავ“... მაღრაძისა.

ამგვარად პირველ კონცერტისათვის 100-დღე სიმ-
ღერა. შეკრიბა, შეადგინა პირველი ჭართული გუნდი, მა-
გრამ რატიოლმა კონცერტის გამართვა 1885-ისთვის ვერ
მოასწრო: გუნდი ჯერ კიდევ მოუმზადებელია, ასეთ პი-
რობებში საზოგადოების წინ ვერ გამოვიყვანო და მხო-
ლოდ წლის თავზე, ე. ი. 1886 წ. გიორგობისთვის 15-ისა-
თვის გადასწყდა პირველი კონცერტის გამართვა.

აი, რას სწერდა ამ პირველი კონცერტის გამარ-
თვამდე გაზ. „ივერია“ (1886 წ. ნოემბრის 13, № 246):

„შაბათს, 15 ნოემბერს არწრუნისეულ თეატრში
ჭართული კონცერტი იქნება გამართული. ჭართული
ხორო, რომელიც იმღერებს ამ კონცერტზე სხვადა-
სხვა ქართულს, ხმებს, შეუდგენია თავის მეცადი-

*) „Летопись Грузинского хора Агниашвили“. — амავე ხელ-
წაწერშია მოთავსებული გუნდის ხარჯი „Расход“. ალ მირიანაშვი-
ლის წერილობითი მოწმობით, ეს „Летопись“ ლ. აღნიაშვილს გადუ-
წერინებია ერთ-ერთ შეგირდისათვის, ხოლო ანგარიში თვით ლ. აღ-
ნიაშვილის ხელით არის დაწერილი.

ავტ.

ნეობითა და მხნეობით ბ-ნს ვლ. აღნიაშვილს. ბ-ნი აღნიაშვილი მასწავლებელია ტფილისის კათოლიკური სკოლისა. ამ აღნიაშვილს შეუკრებია ყმაწვილნი კაცნი და ერთის მუსიკის მცოდნესათვის, სახელ-დობრ, ბ-ნის რატილისათვის უთხოვნია, ხელმძღვანელობა გაუწიეო, ასწავლე ქართული ხმები, რომელიც უკვე ნოტებზე გადაღებულიო და რა ხმაც არ არის ნოტებზე, ათქმევინე მცოდნეთა და თვით თქვენ გადილეთ მერე ნოტებზე და დაასწავლეთ ის ხმებიცაო. ხოროს დაუწყვია სიარული რატილთან და სწავლა ქართულის ხმებისა. ამბობენ, რომ უკვე წელიწადზე მეტია, რაც ეს საქმე იქმნა დაწყობილიო. ხოროს თურმე კარგად აქვს შესწავლილი ზოგიერთი მეტად სასიამოვნო და ძნელად სათქმელი ქართული სიმღერები, როგორც მაგალითად, გურული „ოდელია“, „კუჩხა ბედნიერა“ და სხ. ხორო იტყვის თურმე აგრედვე ერთს ძველს სიმღერას: „წაიყვანეს თამარ ქალი“ და თითო-ოროლა ევროპიულს ხმებსაცაო.

ვისურვებთ, რომ ქართული საზოგადოება ბლომად დასწრებოდეს ამ კონცერტს და ამით გაემხნევებინოს ამ მეტად სასარგებლო საქმის დაზუյებნი და მოთავენი“.

კონცერტის განცხადება ასეთი ჟურ: *)

*) „ივერია“ 1886 წ. № 248, ნოემბრის 15, შაბათი.

ქართული თეატრი

დღეს, 15 გიორგიაშვილის

ქართული ხორო

აღნიაშვილისა გამართავს პირველად

კონცერტი

არტისტი ი. ი. რატიშვილის ლოტბარობით

ყველა სიმღერები ხოროს ნოტებითა აქვს შესწავლილი

დასაწყისი 7^{1/2} საათზე.

დანიშნულ დღეს კონცერტი გაიმართა. აი, როგორ აღგიწერს გაზეთი „ივერია“ მსმენელების მიერ კონცერტზე მიღებულ შთაბეჭდილებებს:

„დამსწრე საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ვაშას ძახილით და ტაშისკვრით ყურთა სმენა აღარ იყო. საზოგადოება დაბრუნდა სახლში სრულიად კმაყოფილი და დაიმედიბული, რომ მკვდრეთით აღადგინეს ის დამარხული კილო-სიმღერები, რომელიც სამუდამოდ უნდა შთაენთქა უამთა ვითარებას“.*)

„ივერია“-მ ამ კონცერტს ორი დიდი აღფრთვანებული შინაარსის მეთაური უძღვნა. აი, რას სწერს ამ კონცერტის შესახებ:

„ის მუსიკის მცოდნე კაცნი, რომელნიც დღეს მიუზიდნია ქართულის სიმღერების სიკეთეს და სიტკბოებას, ბევრს ლირსებას ჰპოულობენ და ბევრსაც

*) „ივერია“, 1904 წ. № 90.

მეცადინეობენ გადილონ ნოტებზედ საყოველთაო
საცნობელად. ამ მხრით, თვითონ ჩვენი ყმაწვილი
კაცებიც ჰშრომობენ და აი ამ შრომის ნაყოფი დი-
ღის სიამოვნებით გავიგონეთ ჩვენის ყურით შაბათს
15-ს ნოემბერს. ქართულმა ხორომ,—თუ არა ვცდე-
ბით ოცი, ოცდაათი კაცი იქნებოდა—ბ-ნ რატილის
ლოტბარობით იგალობა თეატრში თერთმეტამდე
სხვათა შორის ქართული საერო სიმღერები, ნოტებ-
ზედ გადალებული. ხალხი საკმაოდ ბლომად დაეს-
წრო და სიამოვნებით კი არა, აღტაცებით დაჭხვდა
და მიეგება ამ ახალს და სასიამოვნო ამბავს. თუმცა
ვერ ვიტყვით, რომ ყველა ქართული ხმები კარგად
იყო გადალებული, მაგრამ მაინც კიდევ ჩვენ მიერ
ქება და დიდება ეკუთვნით ამ საქმის დამწყობთა.
იგი ნაკლულოვანება, რომელიც ყოველს ახალ საქმეს
აუცილებლად მოსდევს ხოლმე, და რომელიც აქ
ვახსენეთ, უკეთესის სურვილით მოგვივიდა და არა
წუნის დასადებად. ამისთანა საქმეში თვითონ წუ-
ნიც-კი უნდა ჰმდუმარებდეს, იმიტომ რომ თვითონ
საქმე ქველმოქმედებაა თავით თვისით. სწორედ ამ
გრძნობითაც დაჭხვდა ჩვენი საზოგადოება ამ მშვე-
ნიერ საქმეს და ამ გრძნობითვე გამოვიდა თეატ-
რიდამ. დიდი მაღლობა გვმართებს ბ-ნ
აღნია შვილისა, რომელმაც ეს მართლა სახე-
ლოვანი საქმე იკისრა... არა ნაკლებ მაღლო-
ბის ღირსია ბ-ნი რატილი, ეგ უცხო კაცი, რომელ-
მაც მოამზადა და გასწურთნა იგი ხორო. მაღლო-
ბელშა საზოგადოებამ იქავ თეატრში მოაგროვა
ფული და საჩუქარი მიართვა ბ-ნ რატილს. ძახილს
და ტაშისცემს ბოლო არა ჰქონდა. სასურველია,

რომ ამ დიდად სასიამოვნო საქმემ ხშირად გვასია-
მოვნოს ხილმე ისე, როგორც შაბათს საღამოს გვა-
სიამოვნა.

ნუ თუ კარგი არ იქმნებოდა, რომ ჩვენმა დრამა-
ტიულმა დასმა ეს ახალი საქმე, ხოროთი გალობა
ქართულის ხმებისა, ზედ გადააბას წარმოდგენებსა!
ეს აზრი და სურვილი ბევრმა გამოსთქვა თვით
თეატრშივე და ჩვენკ სხვასთან ერთად გვვონია,
რომ ეს ორი საქმე ერთმანეთს უშველის ამრავალ-
ფეროს სიამოვნება და მაშასადამე, თეატრში მოსია-
რულე საზოგადოებაც ამრავლოს და ბლომად მოი-
წვიოს. ეს გაერთება ორის ერთგვარად სასურველ
და სანატრელ სიამოვნებისა ერთსაც ახეირებს და
მეორესაც, როცა ორივე და-ძმურიად ერთად მო-
წვეულ იქმნებიან ჩვენდა გასართობად*).“

იმავე 1886 წ. 26 დეკემბერს გაიმართა მეორე
კონცერტი. ამ კონცერტსაც იგივე „ივერია“ (1886 წ.
№ 281) სალკეთესოდ იხსენებს.

გუნდის რეპეტიციები იმართებოდა ლადო აღნია-
შვილის ბინაზე.


ვისგან შესდგებოდა გუნდი? —

პირველი ტენორები: ლეო ცისკარიშვილი,
ტატუ ფეიქრიშვილი, გიორგი ჩაგუნავა, კორნელი მალ-
რაძე, ნიკოლაზ ჩახნაევი, იოსებ (ია) კარგარეოლი, ვასო
ბაგრატიონი, კოტე დვალი;

მეორე ტენორები: სერგო მამალაძე, სიკო
(სიმონ) აღნიაშვილი, გრიგოლ ჭკუასელი, კოტე კუხიანიძე,
ალექსა მათურელი, როსტომ ჩიჯვაიძე, ბოლოტოვი.

*.) „ივერია“ 1886 წ. № 250 და 251,

ପାଇଁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା



პირველი ბასები: სანდრო გოცირიძე, საშა
ბერიძე, ბასილაშვილი, მათე იანქოშვილი, მიხეილ ავალიანი
შოსე კაპანაძე, სისო ჩიჯავაძე, ექვთიმე ბურჯანაძე.

მეორე ბასები: ნიკოლოზ წინამძღვრიშვილი,
წიკლაური, ევსევი ბაბილუა, ჩიჩუა, კლიმენტი ჭანტურია,
იოსებ ჩირაკაძე, აპოლონ გოდერძიშვილი, ლავრენტი მა-
თიკაშვილი, დავით გაგუნოვი*).

როგორც უკვე ითქვა, საზოგადოება დიდის აღტა-
ცებით შეხვდა ამ პირველ ქართულ გუნდს, მაგრამ მას, (გუნდს) იმოდენა შემოსავალი მაინც არ ჰქონდა, რომ
აუცილებელი ხარჯები დაეფარა, რის გამოც ვალი ვალზე
ედებოდა. გუნდმა გამოსცა ი. ი. რატილის მიერ ნოტებ-
ზე გადალებული „ალილო“ (შიგნით კახეთის კილო),
რომლის მხოლოდ 5 თუ 7 ცალი გაიყიდა (სულ დაიბეჭ-
და 240), დანარჩენი აღნიაშვილის ბინაზე გაჩენილმა
ცეცხლმა შთანქა და მით გადარჩა ლპობას; ასე, რომ
გამოცემებით გუნდი წელს ვერ გაიმართავდა. გუნდს არც
იმდენი საშუალება ჰქონდა, რომ, ჩვეულებრივ, სხვა და
სხვა კუთხიდან ძველი მომლერლები გამოეწვივნა, რე-
პერტუარი ახალ-ახალი სიმლერებით გაემდიდრებინა.
მეორე მხრივ-კი რატილს, კერძო გაკვეთილები მოე-
მატა და გუნდის მხადებას შესაფერ ყურადღებას ვეღარ
აქცევდა. ამას დაერთო გუნდის მონაწილეთა შორის შუ-
ლლიც. მაგრამ ლადომ ეს შულულიანობა შეანელა, ლოტ-

*) ვსარგებლობ გუნდის მატიანეთი (Летопись груз. хора
Агниашвили), რომელიც მოთავსებულია ხელნაწერ რვეულში „ლადო
აღნიაშვილის ქართველ მომლერალთა პირველი გუნდი და მისი ის-
ტორი 1855—1889 წ.“ ეს ხელნაწერი გადმომცა მასწავლებელ-მწე-
რალმა ალ. მირიანაშვილმა 1914 წ., (როდესაც განვიზრახე ქართული
სათეატრო მუზეუმის დაარსება და სამისო მასალების შეკრებას შე-
ვუდევი).

ბარად მოიწვია (1887—88 წ.წ.) მელიტონ ბალანჩივაძე,
რომელმაც გუნდის დავალებით რამდენიმე სიმღერა გა-
დილო ნოტებზე (დილმელ მომღერალ გლეხებისაგან), გრ.
ორბელიანის „სადღეგრძელო“ მოამზადა ცხოველი სურა-
თებით და, ი. რატილთან ერთად, კონცერტი გამართა.
შემოსავალი იყო, მაგრამ ის ჩვეულებრივ ხარჯებს ვერ
ფარავდა. გუნდი ისევ უკაპეიკოდ დარჩა. გუნდის ნივთი-
ერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ლადომ ქართული
ფერიები შექმნა („ყარამანი“, და „ტარიელი“), —ვერც
ამით ეშველა საქმეს: პირველი ფერის („ყარამანი“-ს)
წარმოდგენის მსვლელობის დროს სინათლე ჩაქრა, გაჭე-
დილი თეატრი დაფრთხა (გამიგონია, ვითომც ეს ვილაც
მეშურნეს ჩაედინოს), თითქმის ყველამ ფული უკან მოით-
ხოვა; მეორედ უხეიროდ იყო დადგმული, მესამედ ხალხი
ველარ მიიზიდა. დავალიანებამ ლოტბართ გული გაუტეხა
და საქმეც თითქოს ჩაიშალა, რომ სწორედ ამ ხანებში
(1887 წ.) სტავროპოლიში ვერაგულად მოჰკლეს ცნობილი
მოღვაწე — დიმიტრი ყიფიანი, რომლის ცხედარიც ტფი-
ლისს ჩამოასვენეს. დ. ყიფიანის დაკრძალვისათვის საგა-
ლობლად გუნდი საუცხოოდ მოემზადა სემინარიის მას-
წავლებლის კონტრიძის ხელმძღვანელობით და გაუძლვა მი-
ცვალებულს გალობით. ამის შემდეგ გუნდი მიიწვიეს მთა-
ვარმმართებელის შერემეტიევის შეულლის მიერ გამართულ
სალამოზე. ამ ხანად გუნდში ზოგიერთ ზემოხსენებულთა
გარდა მონაწილეობდენ: ი.რ. ბაქრაძე, ზაქ. ფალიაშვილი,
გრიგორიევი, ბეგიზაშვილი, სოლ. ანდრეევი, ჭკუასელი,
ლაზარიშვილი, გელევანიშვილი, ცხომელიძე და მ. კაპა-
ნაძე.

გუნდს ჰქონდა შემთხვევა თავისი მიღწევები ეჩვენები-
ნა სხვა უფლებამოსილ პირთათვისაც და დაეტკბო მათი.

სქენა. ასე, მაგალითად, გუნდი გამოვიდა თავისი სიმღერებით რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მე-III წინაშე, რომელიც იმ ხანებში საქართველოში ჩამოვიდა.

ამ გზას იმიტომ მიმართა ლ. ალნიაშვილმა, რომ უნდოდა გუნდისათვის სახელი შეექმნა და თანაც მატერიალურად გაეუმჯობესებინა გუნდის მდგომარეობა. მაგრამ არც ამ ცდაშ უშველა საჭმეს.

მეტად დამახასიათებელია, თუ როგორ «დააფასა» გუნდი იმპერატორმა. ალექსანდრე მე-III მუსიკალური გემოვნება და საერთო გონიეროვი ავლა-დიდება საუკეთესოდ გამოსჭივივის ზემოხსენებულ «ქართული გუნდის მატიანე»-ში აღწერილ შემდეგი ფაქტიდან. იმპერატორმა გუნდი, პირველ ყოვლისა, იმით დააფასა, რომ უბრძანა მას, შენი სიმღერით ჩამიხშე ორკესტრის ხმავანებათ. «Здесь (в Сабадури), баатквиамია დოკუმენტში, хору пришлось петь от 9½ часов утра вплоть до 4 часов пополудни, и настолько заслужили внимание их императорских величеств, что государь император велел хору через кн. Дондуков-Корсакова петь безпрерывно и пением своим предупреждать каждое начинание музыки и оркестра, при чем под конец обеда их императорское величество соизволило припевать басса, когда хор пел мравалжамиэр, который так очаровал всех высокопоставленных гостей».*)

*) ორიგინალის დასაცავად, სტილი არ შეგვიცვლია. აი, თარგმანიც:

„აქ (საბადურში) გუნდს შეუხვდა მღერა დილის 9¹/₂ საათიდან შუადღის 4 საათამდე. მომღერლებმა იმდენად მიიპყრეს მათი იმპერატორობითი უდიდებულესობათა ყურადღება, რომ მეფემ თავიდ დონდუკოვ-კორსაკოვის პირით გასცა განკარგულება, გუნდს განუშევეტლივ ემღერა და თავის სიმღერით მუსიკისა და ორკესტრისათვის არ მიეცა დაკვრის საშუალება. ამასთანავე, ბოლოს მისმა იმპერატორობითი უდიდებულესობამ კეთილ ინება ბანი ეთქვა, როცა ხორო მღეროდა მრავალუამიერს, რომელმაც ასე მოხიბლა ყველა წარჩინებული სტუმარნი“.

ი. რატილი მაჟე საბოლოოდ ჩამოშორდა გუნდს. ის ნაწყენი იყო იმით, რომ ქართველმა თავად-აზნაურობაში არ დაუშვა გუნდის ლოტბარად როგორც არაქართველი. რატილი ყოველნაირად უშლიდა ხელს გუნდს (შექმნა საკუთარი გუნდი და სხვ.). გუნდის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა ალ. ბერიძე, რომელმაც სრულიად უფასოდ იკისრია გუნდის ხელმძღვანელობა. იყო აგრეთვე ქალთა გუნდის შედგენის ცდა. ასეთი გუნდი კიდევაც შესდგა, მან ერთი კონცერტიც გამართა, მაგრამ მხოლოდ ამით ამოიწურა მთელი მისი საქმიანობა: შულლისა და ინტრიგების წყალობით ქალთა გუნდი დაიშალა.

მამაკაცთა გუნდს კი ემატებოდა ახალი ძალები. ზემოხსენებულთა გარდა გუნდში შევიდენ: ვანო კვალიაშვილი, დავით გამყრელიძე, ქ. კუხიანიძე, სოსო ფალავანდიშვილი, იოსებ ბაქრაძე, ალექსოპოლსკი, მოლჩანოვი, ედუარდაშვილი, მ. ნათაძე და ახვლედიანი.

თუ რამდენად ფაქიზად ეპყრობოდენ თავიანთ საქმეს გუნდის მონაწილენი, ნათლად სჩანს ქვემოდმოყვანილი ხელშეკრულების ტექსტიდან. მომყავს ნაწყვეტი:

ქართული გუნდის პირობა *).

საქმის სიმტკიცისა და უჯერმაჯერო უკმაყოფილების თავიდან აცილებისათვის გუნდმა დასდო ურთიერთ შორის ესე პირობითი წერილი:

1889 წ. ენკენისთვის 4-ს, ჩვენ ქვემომ ხელის მომწერთ გადავსწყვიტეთ, საერთო ძალლონით გა-

*) დაწერილია რუსულად და ეწოდება: „Условие Грузинского хорда“. როგორც ეს, ისე სხვა ხელნაწერები, მასალები, აღზიაშვილის მიერ სპარსეთში გადაღებული სურათები და სხვ მუნეუმს გადაეცა. ავტ.

ვუძლვეთ აღნიაშვილის ქართულ გუნდს შემდეგ დებულებათა საფუძვლებზე:

1) გუნდმა უნდა იარსებოს აღნიაშვილის ფირმით როგორც დაარსებიდანვე იყო;

2) ამ ვალდებულებებზე ხელის მომწერთა გარდა გუნდში ბავშვებიც უნდა მონაწილეობდენ, ე. ი. გუნდს საბავშო ხმებიც უნდა ჰქონდეს;

3) ყოველი ჩვენგანი მოვალეა, კვირაში ორი საათი შესწიროს აშ საქმეს საკონცერტო კვირეულის გარდა, როცა რეპეტიციებისათვის საჭირო დრო შეიძლება უმაღლესად გაიზარდოს;

4) ყველა რეპეტიციას თვითეული ჩვენგანი გამოუკლებლივ უნდა დაესწროს ხოლმე;

5) ყველა ჩვენგანი ვმუშაობთ საქმის სიყვარულისათვის, პრინციპისათვის, და ამისათვის აღნიაშვილისაგან არავითარ ნივთიერ ჯილდოს არ მოვითხოვთ;

6) გუნდში ვისიმე მიღება ანუ დათხოვნა. გუნდის საქმეა;

7) გუნდის ახალი წევრი ამ დებულებას უნდა დაემორჩილოს.

8) გუნდი ნიშნავს სამეცადინო დღესა და საათს;

9) ყველა ჩვენგანი ერთნაირად ზრუნავს რეპეტუარის გასამღიღრებლად, ხოლო თუ გუნდი ახალ კილოებს ვერ მოიძიებს, აღნიაშვილი მოვალეა სიმღერა-გალობის მცოდნენი გამოიწვიოს ანუ სხვა რაიმე გზით მოიძიოს გუნდისათვის საჭირო ახალი კილო-სიმღერები, ამასთანავე ყველა ეს ახალი და ძველი სიმღერები ნოტებზე უნდა იჭმნეს გადაღებული:

10) გუნდის ოეპერტუარში, აგრეთვე საკონცერტო ნომრებში შეტანილი უნდა იქნეს ყველა ქართული კილო—იმერული, ქართლური ანუ საქართველოს სხვა მხრის, კუთხობრიობის განურჩევლად, საჭიროა აგრეთვე ევროპიული სიმღერები;

11) აღნიაშვილის მოვალეობაა გუნდს ტანისამოსი უშოვოს ხოლმე საკონცერტოთ და საერთოდ ნივთიერი საშუალებანი აღმოუჩინოს;

12) საკონცერტო დღეს აღნიაშვილი ნიშნავს. ამ დღისათვის დამხმარედ ეძლევა გუნდიდან ორი მოწინავე;

13) ყოველ წვრიმალ ხარჯებს აღნიაშვილი თავის შეხედულებისამებრ ეწევა, სხვილს—გუნდის დაკითხვით;

14) შემოსავალი ხმარდება გუნდის საზოგადო საჭიროებას, შენახული უნდა იქნეს სხვა წამოწყებათათვის ანუ ამხანაგთა შორის იყოფა. ყოველივე ეს გუნდის შეხედულებისაგან არის დამოკიდებული;

15) გუნდის ლოტბარად მოწვეულია ალ. ბერიძე, როცელიც გუნდს ემსახურება სრულიად უფასოდ (როგორც გუნდის სხვა წევრნი), რომელსაც ყველა ჩვენგანი ვემორჩილებით ოეპეტიციების დაკონცერტის დროს;

16) თვითეული ჩვენგანი მოვალეა წმინდათ ალასრულოს ამა პირობის ყოველი მუხლი;

17) ამ დებულების ვადა გრძელდება მხოლოდ ერთ სამოსწავლო წლამდე (1889 წ. ენკენისთვის 4-დან 1890 წ. ივნისის 10-დე), მაგრამ საერთო სურვილით შემდეგაც შეიძლება გაგრძელდეს;

18) ამა ხელშეკრულების ერთი პირი გუნდს აქვს,
მეორე—აღნიაშვილს.

შენიშვნა: აღნიაშვილის თაოსნობითვე შექმნილ „ქარ-
თული ორკესტრის“ უპირატესობა ამავე
ამხანაგობას ეკუთვნის“. *)

რა არის ეს «ქართული ორკესტრი»? — როგორც
ერთი ნაბეჭდი წყაროდან **) სჩანს, ლადო აღნიაშვილმა
1888 წ. დაარსა «ახალი ქართული ნაციონალუ-
რი ორკესტრი». ეს ორკესტრი, ამბობს ლ. აღნიაშვი-
ლი: „შემდგარია 13 სხვადასხვაგვარი ქართული დასაკრა-
ვებიდგან, რომლებსაც დაუკრავს 25 კაცი. დასაკრავი
იარაღები უკვე შეძენილია, მასწავლებლები და-
ქირავებული და რეპეტიციებიც დაწყებულია“-ო.

ეს სასახელო საქმე ვერ განხორციელდა უფულობის
გამო. ლადოს კი რამდენად დიდი იდეალები ჰქონდა, იმ-
დენად, შედარებით, ნაკლები ნივთიერი საშუალებანი.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ლ. აღნიაშვი-
ლის გუნდმა ისეთი სახელი მოიპოვა, რომ გადასწყვიტა,

*) ხელს აწერენ: ერ. პარკაძე. ა. ბასილაშვილი, ლ. ცისკარა-
შვილი, ფალავანდიშვილი, კ. ჭანტურაია, ა. გოცირიძე, ი. კვალია-
შვილი, პლ. წვიმაძე, ილ. სუხიშვილი, გ. წიკლაური, კ. მალრაძე. კ. რჩე-
ულოვი, კ. დვალი, ვ. გაგუნაშვილი, ალ. ბერიძე, ვლ. აღნიაშვილი;
კ. კუხიანიძე, თავ. კ. ბებუთოვი, ს. აღნიაშვილი, დ. ეპიტოვი, კაპა-
ნაძე, თავ. ვ. ბაგრატიონ-დავითოვი, რ. ჩიკვაიძე, ა. ცალქალამანიძე,
ი. მარკოზოვი, ვ. მათურელი, ი. ჯავროვი, გ. პეტრიძევი, ეს. ფეიქრი-
შვილი;—გუნდის წევრები იყვნენ აგრეთვე: მიხ. მაჩაბელი, ნიკ. კახი-
შვილი, ლ. კობახიძე, ლ. წერეთელი, ექ. ბურჯანაძე, მიხ. ნატრაძე, ლ.
ბეჭანოვი, დ. ქურხული. ალ. ჯალიაშვილი.

**) „ტარიელი“, ტფ. 1888 წ. წინასიტყვაობა—„მკითხველები-
სადმი“.

რუსეთი და ევროპა შემოევლო. *) ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო იყო ნივთიერი შეძლება, რაც გუნდს არ მოეპოვებოდა. ლადო აღნიაშვილმა დახმარებისათვის საზოგადოებას შემდეგი საგანგებო მოწოდებით მიმართა:

«შემწირველთა დ მი **)

წელს ოთხი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც პირველი ქართველ მომლერალთ გუნდი დაარსდა საქართველოში. ამ ოთხი წლის განმავლობაში მან გამართა 12 კონცერტი, რომელთაგან ხუთი გაიმართა ტფილისს, ოთხი ქუთაისს, ორი გორს და ერთიც ბათუმს. ამ ოორმეტ კონცერტზე მან იმღერა 130 სხვადასხვაგვარი სიმღერა საკუთარი თავისის მეცადინეობით შეძენილი, რომელთა შორის 98 სულ ქართული ხმებია და გარდა ათი სიმღერისა სულ ნოტებზე გადალებული და დასაბეჭდათ დამზადებულია. სიმღერები მოკრებილია საქართველოს ყოველი კუთხიდან: ქართლ-კახეთიდგან, აფხაზეთიდგან, რაჭიდგან და მთიულეთიდგან. ეს ჩვენ მიერ შეკრებილი სიმღერები, რასაკვირველია, არც მეოცედ ნაწილს შეადგენს იმ ქართული სიმღერისას...

ამ კონცერტების წყალობით ქართულმა სიმღერამ მაგრად მოიდგა ფეხი ჩვენ საზოგადოებაში...“

*) გუნდი რუსეთსა და უცხოეთში სამოგზაუროდ დიდის ამბით ემზადებოდა. ამ საგნის შესახებ პატ. პეტ მირიანაშვილმა გვიამბო: პარიზიდან რომ დავბრუნდი, ამ დროს ლადო აღნიაშვილის გუნდი შემდგარი იყო და უცხოეთში აპირებდა გამგზავრებას. აღნიაშვილმა მიმიწვია ფოანგული ენის მასწავლებლად... ავტ.

**) ცალკე დაბეჭდილი შემდეგის სათაურით: „ხელმოსაწერი ფურცელი სია. № . . . , აღნიაშვილის ქართველ მომღერალთა გუნდის სასარგებლოდ 1889 წ. მარტს“.

შემდეგ მოწოდებაში ნათქვამია, რომ გუნდმა დაისახა
მეტად საპასუხისმგებლო და დიდი ამოცანა: რუსეთსა და
ეკროპაში მოგზაურობა ქართული მუსიკის პოპულარიზა-
ციის მიზნით—გუნდს არა აქვს საამისო მატერიალური
ჟესაძლებლობა. ამიტომ მოწოდებაში სთხოვენ ამ საქმის
წარმატებით დაინტერესებულ პირთ: მოგვიწერეთ ხელი.

„წარმოდგენილ სიაზე, რომლითაც ეგევე შეწი-
რულება დაუბრუნდებათ ნახევარი წლის შემდეგ ანუ
თვით შემწირველთავე ტ ანუ მათის სურვილისამებრ
გადაეცემის ქართველთა შორის რომელიმე საქველ
მოქმედო დაწესებულებას. აღნიაშვილი“.

ლადო აღნიაშვილის მოწოდების ეს ხედი განიბნა
უშედეგოდ,—იგი დარჩა «ხმად მღალადებელისა»...

საზოგადოებრივი აზრი და თვითმოქმედება იმდე-
ნად მოდუნებული იყო, რომ გუნდის მოწოდებამ მიზანს
ვერ მიაღწია. ამ გარემოებას ისიც უნდა დავუმატოთ,
რომ ქართული გუნდის მესვეურობა სხვებსაც მოსწყურ-
დათ ანგარებით ანუ სხვა ანგარიშით,—თავთავისი გუნ-
დები შეადგინეს, მით უფრო,—გზა უკვე გაკვალული იყო.
ლადო აღნიაშვილმა გული მაინც არ გაიტეხა: მან თა-
ვისი მთავარი მიზანი შეასრულა—ხალხური სიმღერების
აღდგენა-დამუშავების საქმეს მტკიცე საძირკველი ჩაუ-
ყარა.

მისი წყალობით ჩვენს ხალხში თითქმის ორასამდე
სიმღერა აღსდგა. ძეველი სასიმღერო კილოები მხოლოდ
საქართველოს მიყრუებულ სოფლებში იყო დაცული მო-
ხუც მომღერალთა ხსოვნაში, რომელთა წყალობით, რო-
გორც უკვე ზემორე ვსთქვით, ლადომ. ნოტებზე გადა-
ღებინა, გაავრცელა.

თეატრი

ლადო აღნიაშვილი თეატრის საქმეში უშუალოდ არ ერეოდა; თუმცა „ივერია“-მ მისი გუნდის პირველი კონცერტის გამართვის შემდეგ სთქვა: კარგი იქნება ქართული გუნდი და დრამა ერთი მეორეს დაუკავშირდესო, შაგრამ ეს ასე არ მოხდა: ეს ორი დიდი კულტურული საქმიანობა ცალკ-ცალკე სწარმოებდა. მიუხედავად ამისა, ლადომ მაინც სცადა თეატრში ახალი ელფერის შეტანა. ეს იყო ქართული ფეერია, ეგრედწოდებული სანახაობის თეატრის მინაგვარი, რომელსაც მეტადრე დადგმის მხრივ დიდი ყურადღება მიეჭცა მხოლოდ დღეს, მეოცე საუკუნის პირველ მეოდხედში, ლადოს მიერ დაწყებულ საქმიდან 30 წ. შემდეგ.

ლადომ დასწერა ორი ქართული ფეერია, ქართულ თქმულება-ზღაპრებსა და სპარსულიდან გადმოქართულებულ ამბებზე აგებული: „ყარამანი“ და „ტარიელი“, 3 მოქ. და 8 სურ. ეს უკანასკნელი ლადომ ცალკე წიგნაკად გამოსცა (1888), რომელის წინასიტყვაობაში (მკითხველი-სადმი) სწერს:

„რადგან ეს ახალი ფეერია რამდენიმე სრულიად სხვადასხვა ზღაპრების სხვადასხვა ამონაგლეჯი ადგილებიდგან არის შემდგარი; რადგან ყოველივე ამისი სურათი სწარმოებს სრულიად სხვადასხვა ადგილსა; რადგან ბევრი მონაწილე ხალხია საჭირო ამის დაგმაში; რადგან ბევრგვარი გარდაქმნა და გარდაქცევაა საჭირო ამ ფეერიაში და რადგან ყოველივე ეს, ცოტად თუ ბევრად, უფრო ძნელ გასაგებადა ჰქონდის თვით ფეერიას, ამისათვის ჩვენ განვიზრახეო პროგრამის მაგიერ ამ შემოკლებელი შინაარსის

დაბეჭდვინება, რომ მით უფრო ადვილი ყოფილიყო მისი თავიდან ბოლომდის თვალყურის გადევნება. იმედი გვაქვს, ჩვენი მარად პატივცემული საზოგადოება, რომელიც ყოველივე ჩვენ მიერ დაწყობილ საქმეს მხურვალედ ეჭიდება, არც ეხლა, ამ ჯერად დაგვტოვებს უყურადღებოდ, მით უმეტეს რო ეს წარმოდგენა საქველმოქმედოდ არის დანიშნული: სრული მისი ნალი შემოსავალი გადადებულია ჩვენ მიერ ახლად დაარსებული ნაციონალური ორკესტრის სასარიგებლოდ“ და სხ.

ეს ფეხრია პირველად დაიდგა 1888 წ. დეკემბრის 20-ს აღ. ბერიძისა და სხვა ახალგაზრდობის დახმარებით, მაგრამ ამ სალამოს ისეთი ყინვები იყო, რომ წარმოდგენას თითქმის არავინ დასწრებია და ამითი კიდევ უფრო დავალიანდა გუნდი. როგორც უკვე ვსთქვით, ასევე უშედეგოდ ჩაიარა პირველი ფეხრია „ყარამანი“ს სამჯერ დადგმამ.

ამ დასაწყისმაც ფრთა ვერ გაშალა, მით უმეტეს, რომ ამ საქმეში დახმარების მაგიერ, ლ. აღნიაშვილს უფრო ხელს უშლიდნენ: თითქმ მასში მოქიშპესა ხედავდენ.

ფილოლოგია

მთელ მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ქართული წარმომადგრენების — იგი შეფარებული იყო თეატრსა და მშრომელ მასებში.

ლადო აღნიაშვილმა დიდი ყურადღება მიაქცია ქართული ენის მეცნიერულად შესწავლას, რაიც გამოიხატა მის მიერ შედგენილ „უბის ლექსიკონი“-თ.*)

*) გამოსცა 1887 წ. ტფ., შეიცავს 47 გვ. დაბეჭდილია ფერად ნარევ სქელ ქაღალდზე.

შესავალი იყო მისი დიდი სალექსიკონი მუშაობისა. აი, რას გვეუბნება ავტორი „უბის ლექსიკონი“-ს წინასი-ტყვაობაში;

„შიგ ჭრელად ლაპარაკი რა საკადრისია: დაი-წყობ რუსულად, ქართულზე გადახვალ, ქართულად დაიწყობ, რუსულზე გადაუხვევ. ხუთი წამი არ შე-გიძლიან კაცს ლაპარაკში შერჩე და სულ წმინდა ქართული ილაპარაკო. ამისი წყალობით დღეს ჩვენი ენა გადაკეთდა...“

„აპა, აი „უბის ლექსიკონი“, რომელიც მხოლოდ ამ განხრახვით არის შედგენილი. ეს ნამცეცა ლექ-სიკონი, რასაკვირველია, იმოდენა მასალას ვერ აღმოვიჩენს, რომ ყოველსავე ამგვარ შემთხვევაში დაგეხმაროს“...

„....უბის ლექსიკონში“ შეტანილია უფრო მომე-ტებულად ისეთი სიტყვები, რომლებიც შეწყნარე-ბულია ჩვენის მწერლიობისაგან და ანუ უკვე ცნო-ბილია და მიღებული ჩვენის მოლექსიკონეთაგან, გარდა ორიოდე სიტყვისა.“

1886 წ. მარტის 14-სა დღესა“.

დღევანდელის თვალსაზრისით, იქნება ვინმემ ამ პა-წაწყინა ლექსიკონს შესაფერისი ყურადღება არ მიაქციოს, მაგრამ იმ დროს მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და ჩვენს სა-ზოგადოებაში დაიბატა დიდი ლექსიკონის შედგენის აზრი. ამ საგანხე, სხვათა შორის, რაფ. ერისთავმა ერთის თუ ორის წლის შემდეგ გაზ. „ივერიაში“-ში დაბეჭდა წერი-ლი, რომლითაც დასახა გეგმა, თუ როგორის წესით უნდა შეიკრიბოს სიტყვები, რა წესით შესდგეს სრული ლექ-სიკონი *).

*) იხ. მისი წერილი: „აზრი სრულის რუსულ-ქართულის ლექ-სიკონის შედგენის თაობაზე“ (ივ. 1888 წ. № 144).

რამდენიმე დღის შემდეგ იმავე გაზ. „ივერია“-ში ა. ს-ი (ალ. ივ. სარაჯიშვილი) მეთაურ წერილში, გამოეხმაურა-რა რაფ. ერისოავის წერილს, სწერდა:

„ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, ის სასიამოვნო ამბავიც, რომ ზოგიერთებს განუზრახავთ ქართულის ენის სხვადასხვა შტოების ლექსიკონების შედგენა. ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ბ-ნს თავისუფალ სვანს, სვანურის ზედმიწევნით მცოდნეს, შეუდგენია ქართულ-სვანური ლექსიკონიო დღევანდელის ნომრიდან მკითხველი შეიტყობს, რომ ბ-ნს მოხს ჯანაშვილს ინგილოური ლექსიკონი შეუდგენია... სასურველია, რამ ნაბიჯი თავისუფალის სვანისა და მ. ჯანაშვილისა პირველ ნაბიჯად არ დარჩეს და სხვებმაც მიჰპაძონ იმათს მაგალითს და შეისწავლონ დანარჩენი შტოები ქართულის ენისა“*).

ლადო ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააფხიანა. მისი სალექსიკონო მუშაობა მარტო პატარა „უბის ლექსიკონი“-თ არ განსაზღვრულა. ეს მხოლოდ შესავალი იყო მისი საენათმეცნიერო მუშაობისა. სხვა საქმეთა შორის ამ სა-განზეც შეუჩერებლივ მუშაობდა, როგორც შემდეგში გა-მოირკვა: მასალებს აგროვებდა უფრო დიდი და სრული ლექსიკონის გამოსაცემად. პ. მირიანაშვილის საპასუხოდ დაბეჭტილ წერილში ლადო ამბობდა: **).

„მე ვადგენ უბის ლექსიკონს და ამას მოვუნდი სრული ოთხი თვე... ამ საქმისათვის დამჭირდა, რო-

*) იხ. „ივერია“ 1888 წ. № 152,— მეთაური.— ამავე ნომერშია („აზ. ამბები“) ცნობა, რომ მ. ჯანაშვილს შეუდგენია მოკლე ინგილოური ლექსიკონი.

**) „ივერია“ 1900 წ. № 91— „პასუხად ბ-ნ პეტრე მირიანა-შვილს ხალხური სიტყვების შეკრებაზე“.

საკვირველია, ყველა აწ არსებული ლექსიკონების ჩხრეკა-ძიება თავიდან ბოლომდე... დღეს იქნება ჩემ-სავით არავინ იცოდეს მათი ავი და კარგი, მათი ლირსება და ნაკლულოვანება“-ო.

ლადოს ასეთი განცხადება იმ დროს ზოგიერთებს სასაცილოდ მოეჩენათ; ლადომ მაინც დაიწყო დიდი ლექსიკონის შედგენა და ერთი ფორმა დაბეჭდა კიდეც (გრ. ჩარკვიანის სტამბაში). ლადო დღე და ღამ შეუჩერებლივ მუშაობდა, მრავალ წიგნებითა და გამოცემებით გართული, რომ დაწყებული საქმე წარმატებით დაეგვირგვინებინა, მაგრამ იშედები გაუცრუვდა...

გამოგვევლება

80—90-იან წლების მიწურულს ჩვენში საგამომცემლო საქმეს თითო-ოროლა კერძო პირი აწარმოებდა, უმ-თავრესად ზ. ჭიჭინაძე და გრ. ჩარკვიანი, ბოლოს „ქ. შ. წ. კ. მ. ს.“.

ეს ის დრო იყო, როცა ქართულ წიგნს ჯერ კიდევ ბაზარი არ ჰქონდა მოპოვებული, საგამომცემლო საქმეში ერთი გარკვეული ხაზი, გარკვეული გეგმა არ არსებობდა: ბეჭდავდენ რაც მოხვდებოდათ და როგორც შეეძლოთ.

ზაქ. ჭიჭინაძემ და გრ. ჩარკვიანმა დიდი ჭაპან-წყვეტით თითქმის 15—20 წელიწადი (90-იან წლებამდე) აწარმოეს წიგნების საგამომცემლო საქმე. ამ დროს დაიბადა ახრი „ქართველთა წიგნების გამომცემელ აშხ. ბის“ დაარსებისა, რომლის ერთი მესვეურთაგანი ლადო აღნია-შვილიც იყო.

საჭიროა აქვე მოვიხსენიოთ, რომ ვიდრე ლადო, სხვებთან ერთად, ამ საქმეს ჩაუდგებოდა სათავეში, ის

უახლოეს მონაწილეობას იღებდა საყმაწვილო ჟურნალ „ნობათი“ -ს (1883—84 წ.წ.?) გამომცემლობაში: იგი იყო სარედაქტიო კოლეგიის წევრი სამსონ ინასარიძესა და ალ. მირიანაშვილთან ერთად,—ოფიციალ რედაქტორად ირიცხებოდა ანდრია სოლ. ლულაძე, რომელსაც უფრო ენდობოდა მთავრობა. ჟურნალი წრის თაოსნობით გამოდიოდა, ზემოხსენებულ პირთა გარდა ამ წრის წევრები იყვნენ: ალ. გიორ. ჯაბადარი და ვასილ ილ. რცხილაძე*).

„ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხ-ბა“ -ს საძირკველი ჩაეყარა 1887 წ. მისი პირველი დამაარსებელნი იყვნენ (ანბანთა რიგზე): ვლად. ალნიაშვილი, დავით გაგლოევი, ნ. ზედგინიძე, სამ. ინასარიძე, რ. ფანცხავა (ხომლელი), გრ. ჩარქვიანი და ალ. ჯაბადარი (თავმჯდომარე გამგეობისა). თვითეული მათგანი ცალკე იყო პასუხისმგებელი ყველა გადასახადისა და ფულიც ყველას თანასწორად უნდა გადაეხადნა. პაი ლირდა 50 მან. ამხანაგობის გასაფართოებლად, ე. ი. წევრების მისაზიდავად საჭირო იყო, რომ ყველა წევრს არ დაკისრებოდა პასუხისმგებლობა, ასეთ წესს ყველა გაურბოდა: ფული დაგედებათ და ჩვენ გვაზღვევინებთო. ამიტომ, საქმის გაფართოებისათვის, გადასწყვიტეს ამხანაგობის ნდობაზე დაყრდნობა და 1894 წლ. მაისის 31 შესდგა „ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა, ალექსანდრე გიორგის-ძე ჯაბადარი და ამხ.“, რომლის ყოველგვარი პასუხისმგებლობა დაეკისრა მხოლოდ ფირმის წარმომადგენელ — თავმჯდომარეს ალ. გიორ. ჯაბადარს, პაი იგივე (50 მ.) დარჩა.

*) ამავე წანებში სომხებმაც გამოსცეს ასეთივე ჟურნალი „ალბიურ“ (წყარო). ორივე გამოცემას სარჩულად ედვა საერთო მიზანი — ქართველ-სომხთა ურთიერთობის განმტკიცება, მაგრამ ეს აზრი ჩაიფუშა.

ამხანაგობის მიზანი იყო წიგნაკების, წიგნაკების, უურნალ-
გაზეთების და სხვ. გამოცემა განსაკუთრებით ქართულ ენა-
ზე. ამ საამხანაგო ხელშეკრულების ძალით:

§ 4. „ყოველი წევრი ამხანაგობისა პასუხისმგე-
ბელია მხელოდ თავის შეტანილი ფულით.

§ 6. ამხანაგთა საზოგადო ყრილობის ნება დარ-
თვით პაი შეიძლება გარდაეცეს სხვას კანონიერის
ზედწარწერით და დამტკიცებით. პაის მფლობელის
გარდაცვალების შემდეგ ამხანაგად მიიღების კანო-
ნიერად აღიარებული მემკვიდრე.

§ 22. შენიშვნა: ამხანაგობის წევრთ არა აქვთ
უფლება მოითხოვონ შეტანილი თანხის დაბრუნება
საქმეების სრულიად მოსპობამდის“.


როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამხანაგობამ ქართული
მწიგნობრობის აღორძინებას დიდი სამსახური გაუწია,
საქმაოა მოვიხსენიოთ გაზ. „ცნობის ფურცელი“-ს სურა-
თებიან დამატებითურთ (საქართველოში პირველი). და
უურ. „მოამბე“-ს გამოცემა.

1917 წ. იანვარში, სტამბა ა/კ. რკინისგზის სამმარ-
თველოს გადაეცა და „ქართ. წიგნების გამომცემელი
ამ“. საგამომცემლო საქმე დროებით შეჩერდა. *)

ამხანაგობამ ტფილისში გახსნა პატარა წიგნის მა-
ღაზია, რომლის გამგებლადაც პირველ ხანად გრ. ჩარ-
კვიანი იყო მოწვეული, მოაწყო საკუთარი სტამბა (ი.
მანსვეტოვისაგან შეძენილი) და მოკლე ხნის განმავლობაში
იმ დროისათვის არაჩვეულებრივი სახის გამომცემლობა
გააჩაღა: გამოცემის ტექნიკაში ნამდვილი რევოლუცია.
მოახდინა, —ისე ლამაზად გამოცემული წიგნი (თუ მხედ-

*) ცნობები ამხანაგობის საქმიანობის შესახებ გადმომცა ალ.
გიორ. ჯაბადარმა, რისთვისაც მადლობას ვუძლვნი. ავტ.

ველობაში არ მივიღებთ გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემულ დიდ „ვეფხის ტყაოსანს“), მანამდე იშვიათი იყო, ამხანაგობამ გამოსცა, სხვათა შორის, იოსებ დავითაშვილის ლექსთა ტომი, ალ. ყაზბეგის 4 ტომი, ილია ჭავჭავაძის ხუთი წიგნი, აკაკი წერეთელის ორი ტომი და მრ. სხვ.



ქართ. გამომცემელ ამხანაგობის პაი.

ამხანაგობის ერთი სულისჩამდგმელთაგანი იყო ლადო ალნიაშვილი, რომელმაც პირადის მეცადინეობით ამხანაგობას ხელში ჩაუგდო ალ. ყაზბეგისა და სხ. ჩვენ გამოჩენილ მწერალთა ნაწერების გამოცემის უფლება, ცოლწყო გამომცემლობის საქმე და სხ. *)

*) „ქართ. წიგ. გამ. ამხ.“ გამგე-თავმჯდომარე თავის მოგონებაში „ზოგი რამ ყაზბეგის შესახებ“ მოგვითხრობს: „ალექსანდრე ყაზბეგთან დაიდო ხელშეკრულება. გამგეობის წევრს ლადო ალნიაშვილს მიენდო მიღება ყაზბეგისაგან ყველა მისი ნაწერებისა დამთავრებულისაც და დაუმთავრებელისაც.“

ალნიაშვილმა, ხელშეკრულების დადებისთანავე, გადმოიტანა ამხანაგობის ბინაზე ყაზბეგის ნაწერები ერთი მოწითალოთ შეღებილი ხის სკივრით“. („მნათობი“, 1928 წ. № 2, გვ. 249).

ქერძოდ თვითონ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგა-
მომცემლო საქმეში იმ ხანად უმაღლესი გემოვნება და
ხელოვნება გამოიჩინა.

მაგრამ ლადო მარტო ნაწარმოებთა გამომცემლობით
არ დაკმაყოფილდა: იგი ამაზე ადრე გაიტაცა კიდევ
უფრო დიდმა საქმემ.

ზეპირსიტყვაობა

ეს დიდი საქმე იყო ზეპირსიტყვაობის ანუ ხალხურ
სიტყვიერების შეკრება. ლადომ არა თუ იცოდა, არამედ
ალლოთიც ჰერძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს
ამა თუ იმ ხალხურ ზეპირშემოქმედებას. ლადომ ამ საქ-
მესაც თავისებური ენერგიით მოჰკიდა ხელი და თვის
მიერ შეკრებილი „ხალხური ზღაპრები“, 1 წიგნი „ქართ.
წიგნების გამომცემელ ამხ.“ გამოაცემინა (1890 წ.). წიგნ-
ში მოთავსებულია 15 ზღაპარი, შეიცავს 142 გვ.

აი, რას ვკითხულობთ ამ „ხალხური ზღაპრები“-ს
„წინასიტყვაობის მაგიერ“-ში:

„ქართველთა ამხანაგობის“ გამგეობა შეუდგა
ამითი ხალხურ ნაწარმოებთა ბეჭდვას. დაბეჭდავს
იგი ჯერ უპირველესად ზღაპრებს და შემდეგ ლექ-
სებს, ლეგენდებს, ანდაზებს, გამოცანებს, ლოცვებს,
შელოცვებს, ცრუმორწმუნოებებს—სრულ ხალხურ
ზეპირსიტყვაობას. გამოცემები იქნება ცალკ-ცალკე,
პატარ-პატარა წიგნებად, ხოლო ვრცელი წინასიტ-
ყვაობა, შედარება ერთმანეთში სხვადასხვა ვარიან-
ტებისა, შევსება თვითეული მათვანისა და ყოველ-
გვარი შენიშვნები მიბეჭდილი იქნება ბოლოში
ცალკ-ცალკე, სათითაო განყოფილების დასასრულ“.

როგორც აქედან სჩანს, ლადო აღნიაშვილს დიდი
მიზანი ჰქონდა დასახული, მაგრამ გარემოებამ ჩამოაშორა
„ქართველთა წიგნების გამომცემელ ამს.“ და ასეთი გა-
მოცემების გამოსვლაც შესწყდა, თუმცა, ამ პირველი წი-
გნითაც სათავე დაედო ხალხური შემოქმედების შეკრების
საქმეს. *)

საჭიროა აქვე მოვიხსენიოთ, რომ ლადო ხალხურ
ზეპირსიტყვაობის შეკრებასთან ერთად, განსაკუთრებული
სიყვარულით ეპყრობოდა ხალხური, პოპულიარული კი-
ლოთი წერას, სწერდა „პატარ-პატარა ამბებს“ ანუ
იგავარაკებს, რომელთა ნაწილი დაუბეჭდავი დარჩა.
ეს „პატარ-პატარა ამბები“ მართლაც წვრილ-წვრი-
ლი იგავ-არაკებია, თვითეული სულ ხუთეულ-ათეულ-
ოცეულ სტრიქონისგან შემდგარი, მაგრამ ნამდვილი
არაკული, ხალხური სიბრძნით გასულიერებული და პო-
პულიარული ენით დაწერილი (ხელნაწერი შეიცავს 137 გვ.,
სულ 214 იგავ-არაკი). აი, მისი რამდენიმე ნიმუში (მისი
ნაწარმოებიდან შემთხვევით ამოლებული):

ო რ ბ ი

ორბი მაღლა პაერში დასრიალებდა. ერთბაშად
საიდგანლაც ისარი მოჰქვდა. გაუკვირდა: როგორ? მე აქ,
ამ სიმაღლეზედ ისარი საიდგან უნდა მომხვედროდაო!
გადაჰქვდა მერე ისარს და შიგ თავისი ფრთა-კი დაინახა
გარჭობილი. დალონდა დიდად და გულამოსკვნით სთქვა:
„ვაი, ჩემს თავს, ჩემგანვე იქმნა სიკვდილი ჩემიო?“ (ხელ-
ნაწ. გვ. 5).

*) შემდეგში თ. რაზიკაშვილმა გამოსცა ქართლ-კახეთში შე-
კრებილი ზღაპრების ორი ვრცელი კრებული, დრო-გამოშვებით ზო-
გი რამ უურნალ-გაზეთებშიც იბეჭდებოდა.

ა ვ ტ.

გევრი თუ ცოტა

ერთმა კაცმა ნალი იპოვნა-და, აბა რალა მაკლიაო? — სამი ნალი, აბუანდუკი, ზედსაკუკი, საკბილები და თოხა-რიკიო. (ხელნაწ. გვ. 15).

მ ა ვ ს ი პ უ რ ი

ერთმა უთხრა მეორეს:

— რად გინდა, რომ დღეში უსათუოდ ექვს პურსა ჰყიდულობო?

იმან უპასუხა:

— ორს მე ვჭამ, ორს სესხად ვაძლევ და ორითაც ვალს ვისტუმრებო.

— არ მესმის, გამაგებინე რამეო, უთხრა ისევ პირ-ველმა.

— ორ პურს მე და ჩემი ცოლი ვჭამთ, ორს ჩემი შვილები და ორსაც ჩემი დედ-მამაო, აუხსნა შეორებ (ხელნაწ. გვ. 29).

მ ა ვ რ ნ ა ლ ი

მკურნალი ერთი რამდენიც სასაფლაოზედ გავიდო-და, თავ-პირზედ ჩადრს ჩამოიფარებდა. ხალხი ჰყითხავდა, რა არის მაგის მიზეზიო? მკურნალი ყოველთვის ამ პასუხს ეუბნებოდა:

— მრცხვენიან ამ სასაფლაოს მიცვალებულებისა, იქნება ჩემის წამლებით არიან დახოცილებიო. (ხელნაწ. გვ. 71).

ძალლი და შგველი

გარბის მგელი, მისდევს ძალლი. „უჰ, რა ლონე მაქვს, რა მარდი ფეხები“, თავმოწონებით მილაპარაკობდა თა-

უისთვის ძალლი, „ამ საწყალ მგელს-კი არა აქვს სრულობით ლონე და იმიტომ გარბის ესეო“. მოტრიალდა მგელი უკან და უთხრა ძალლსა: „შენი-კი არ მეშინიან, შე უბე-ლურო, შენ რომ ფეხდაფეხ უკან მოგდევს შენი ბატონი, მე იმისი მეშინიანო!“ (ხელნ. 137 გვ.).

ამ იგავ-არაკთა შორის მისი საკუთარი 6, ძველი ხელთნაწერებიდან გამოკრებილი 35, ხალხში გაგონილი 41, რუსულიდან ნათარგმნი ან გაღმოკეთებული—21, „სწავლულთა კიდაბანიდან“—2, „ქამაონის“ ინ. დოკტორის ზოგისა მხოლოდ თემა აქვს აღებული, დაწერა კი ვერ მოუსწრია.

ამავე ხელნაწერში მოთავსებული აქვს „შენიშვნები ქართული ენის მართლწერის „შესახებ“ (სათანადო მაგალითების და სხვადასხვა ფორმის ნიმუშების აღნუსხვით, 64 მუხლისგან შემდგარი), „იდიოტიზმები ენისა“ (153 მაგალითი).

გგზავრობა სპარსეთში (1894—9 წ.)

1894 წელს ლადო აღნიაშვილი წავიდა სპარსეთს, ძველთაგანვე იქ გადასახლებულ ქართული სოფლების და-სავლელად. ჩავიდა ფერეიდანში, მოიარა აქაური სოფლები და მათი ყოფა-მდგომარეობა ასწერა („მოამბე “1896 წ.).

ამავე წელს ცალკე გამოსცა წიგნი სათაურით, „სპარსეთი და იქაური ქართველები“ დამატებით: „ზოგიერთი რამ მსგავსება და ურთიერთ შორის დამოკიდებულება სპარსული და ქართული ენისა“ (309—328) და ფერეიდანის ქართველთა სამოსახლო ადგილმდებარეობის რუკა სოფლების აღნიშვნით.

წიგნი შეიცავს ექვს თავს და იგი საყურადღებოა არა მხოლოდ იქ დასახლებულ ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესწავლისათვის, არამედ, საერთოდ, მეცნიერებისათვის საც: ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნებისათვის და სხვ.

წიგნის მეხუთე თავი „ფერეიდანი ანუ ქართველთა მოსახლეობა სპარსეთში“ ქართველებს ეხება. აქ, სხვათა შორის, აღვიწერს: მანძილსა და მდებარეობას, ქართველთა რიცხვს, საქმიანობას, სახესა და მოყვანილობას, მეურნეობას, ქონებრივ მდგომარეობას, ადათებს, ქრისტიანულ ჩვეულებას (ძველიდან დარჩენილს), ენას, ზნეს და სხ. და სხ. იგი ნათელჲყოფს, რომ ამ ქართველებს, 300 წლის გასვლის შემდეგაც — სპარსეთში შეუნარჩუნებიათ ენა, ბევრი ისეთი სიტყვაც, რომელიც ჩვენში არც კი იხმარება, ადათ-ჩვეულებანი და ხასიათი.

ამ წიგნში აგრედვე საუცხოოდ აღწერილია სპარსეთი: მისი წარსული და აწინდელი ყოველწერივი მდგომარეობა, საკუთარიის შენიშვნებით, ხალხის ვინაობა, მიწა-წყლის რაობა, ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ჩაკვა-დახურვა, მიწათმოქმედება, პოლიტიკურ - ეკონომიური ვითარება, სარწმუნოებრივი მხარე, ცრუმორწმუნობა, ისტორიული ძეგლები, შესანიშნავი ადგილები, ნაგებობანი, მთავარი ქალაქები და სხ. როგორც ცნობებით, ისევი მხატვრული აღწერით, წიგნი მდიდარია.

ეს წერილები თავის დროს საყოველთაო ყურადღების ღირსი შეიქმნა. არც დღესაა იგი მნიშვნელობა-დაკარგული მეცნიერულის თვალსაზრისით.

ამრიგად, ის, რაც ბევრისთვის მოსაფიქრებლადაც კი შეუძლებელი იყო, ლადომ საქმეთ აქცია, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის არც მატერიალურად იყო უზრუნ-

ველუოფილი და არც რაიმე დახმარება ჰქონდა საზოგა-
დოებისაგან.

აი, სხვათა შორის, ერთ კერძო წერილში რასა
სწერს თავის დისტულს სიკოს (სიმონ პეტრეს ძე აღნია-
შვილს) ისპაპანიდან 22 აპრილს 1895 წ.

წერილში მოუთხრობს რა, თუ სპარსეთში რა პი-
რობებში უხდებოდა მოგზაურობა და მუშაობა, სხვათა
შორის, სწერს:

... „მინდოდა ერთი ნაწილი ჩემის მოგზაურობისა
(ისპაპანში ყოფნა) შენთვის მომეწერა, მაგრამ ქა-
ლალდი გამომელია და მეორედ ველარ შევაწუხე
ჩემი სახლის პატრონი. რა ქალალდი, რა სხვა, ყვე-
ლაფერი გამომელია, ასე წარმოიდგინე, რომ მოთ-
მინებაც კი გამითავდა. ამისათვის ვამჯობინე მოგ-
ზაურობა გადამედო და სხვადასხვა რამ მომეწერა“...

შემდეგ ეხება რა თავის ნივთიერ გაჭირვებას,
შეხვედრილ ხალხს (ახასიათებს), ურთიერთობას, ცხოვ-
რების ვითარებას,—განაგრძობს:

„ამ დღეებში მივდივარ ფერიას. იქ დავრჩები
ერთ კვირამდე და მერე იქიდან პირდაპირ თეირანს
წავალ, რომ იქიდგან ისევ რეშტზედ წამოვიდე. ამ
მოგზაურობას მოუნდება ოც დღემდე და ვიდ-
რე თქვენ ამ წერილს მიიღებდეთ, მე უკვე თე-
ირანში ვიქმნები... ეხლა იმასა გთხოვთ, რომ თუ
აქამომდე ფულს ვერას გახდით, ეხლა ნამეტნავ და-
აშურეთ, თორემ თეირანში არ ვიცი, თუ როგორ
უნდა ვიყო. ეს კაცი, ძალიან კაი კაცია, ვისთანაც
ეხლა მე ვარ და თეირანში ესეც სტუმრად იქმნება
და მე ხომ სტუმრის სტუმარი ვერ გავხდები. ვის
მივადგე კარზედ. ესეც, რასაკვირველია, მავალებს

იმ ხარჯს, რაც გზაში გვექმნება, ხოლო რაც შეეხება ამასთან ცხოვრებას (ერთი თვე მეტად ამასთანა ვარ) ჯერ ამაზე ხმა არ ამოგვიღია. დიდის სიამოვნებით ვიკისრებდი, რომ შეიძლებოდეს ესე ნისიად ცხოვრება თეირანშიაც, ვიდრე ფული მოჭივილოდეს, აბა როგორ შეიძლება, მე თითონ არ ვიცი. თუ მყავს ნაცნობები, უფრო მსხვილი ხალხია და აბა იმათ რა ვუთხრა“....

ბევრის ტანჯვა-წამებითი მოგზაურობისა და გზა-გზა კითხვა-კითხვის შემდეგ მიაღწია „აღთქმულ ქვეყანას“ — ფერეიდანს. აი, როგორ აღვიწერს თვითონ ლადო ქართველთა პირველ სოფელში შესვლას, ფერეიდანის მდებარეობას და ხალხის ოდენობასა და შეხვედრას:

....„გავიარე ერთი ვერსის ოდენა. გზაში ერთი დიდი ყანა იყო. თავში ერთი გლეხი იდგა და ყანაში წყალს ურუებდა. გზის პირიდან, ყანის მეორე თავში, საიდანაც ჩვენ მივდიოდით, ერთი ახალგაზრდა კოხტა ბიჭი მოვიდა და ძალიან მაღლის ხმით გასძახა იმ პირველს:

„!) ბიჭო, ეი! იადოლლა, იადოლლა!“ იმან დარუვებას თავი დაანება და ხელი მალლა აიშვირა, ვითომ მესმის, რა გინდაო. — „რა უყავ ბიჭო ი ჩვენი ვირიო?“ ჰკითხა ისევ პირველმა. — „შენ რაით გინდა? შინ არი.“ — „როგორ არ მინდა, პური უნდა წავილო წისქვილში“. — „ჩვენ გომშია, წადი. წაიგვანე“-ო.

„მე ამ მინდორში, ამ შიგ შუა სპარსეთის გულში ამისთანა ქართული ლაპარაკის გაგონებამ ერთბაშად რაღაც თავბრუ დამხვია; შევაყენე ცხენი და ისე გაშტერებული ვიდექ, მე თვითონ არ ვიცოდი, რასა ვფიქრობდი იმ დროს. დარწმუნებული ვიყავ წინადვე, რომ ამათ ქართული ლაპარაკი უნდა

!) სადაც სიტყვებს ბრჭყალები უსხედს, ის ნამდვილი იქაური ლაპარაკია, სიტყვა-სიტყვად მოყვანილი და სადაც უბრჭყალებოდ არის, იქ მხოლოდ აზრია გადმოღებული ჩვენი სიტყვებით. (შენიშვ. ლადო აღნიაშვილისა, „სპ და იქ. ქართ.“ 1896 წ. გვ. 180).

სცოდნოდათ, რადგან ბევრნი მიდიოდ-მოდიოდნენ ჩემთან ისპა-
ჰანში, მაგრამ სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, თუ ესე მინ-
დორ-ტყეში, მთებსა და სოფლებში წმინდა ჩვენებური, გლე-
ხური კილოთი ლაპარაკი გავიგონებდი. დიდი ხანი ალარ და-
ვაცადე მე იმათ ლაპარაკი და დავუძახე გზის პირში მდგომ
ბაჭეს: „ბიჭო, ეი! შენ ვინა ხარ, გურჯი ხარ-მეთქი“ იმან მო-
იხედა და კაი ხანი მიცეროდა გაკვირვებული, მერე მითხრა:
„ჰო, გურჯი ვარ! მაგრამ შენ ვინა ხარ? ჩვენებური სად
იციო?“ — მეც გურჯი ვარ. გურჯისტანიდან*) მოველ თქვენს
სანახავად-მეთქი. — „იი, გურჯი-კი არა“ — ჰო, მართლა გეუბ-
ნები. — „მაშ გურჯი ხარ! — მითხრა და ჩემსკენ წამოვიდა. და-
მაშყო რაღაც-რაღაცა ლაპარაკი და მერე ჩუმ-ჩუმად თავის
ამხანაგს ხელი დაუქნია. გაიდო იმანაც ბარი მხარზედ და
გამოიქცა ჩვენსკენ. მე ნელ-ნელა მიმყავდა ცხენი, ამას უზანგ-
ზედ ევლო ხელი და ლაპარაკით მოგვდევდა. ოოცა მეორეც
მოგვიახლოვდა. პირველმა უთხრა: „იცი, ეს გურჯია, გურ-
ჯისტანიდან არი“ — „იი, გურჯი კი არა?!“ თქვა იმანაც და,
როცა მე ქართულად დაველაპარაკე, გაუზარდა, მოვიდა ესეც
ახლო, ჩაჭკიდა ხელი ცხენს ფაფარში და აგვედევნა. მე ვკით-
ხავდი: შენ რომელ სოფლიდან ხარ, შენ რომლიდან? შორს
არი ეგ სოფელი? ბევრნი ხართ იმ სოფელში თუ ცოტა-მეთქი?
ისინიც სულ კბილების ღრეჭით და სიცილით მაძლევდნენ
პასუხს. ამ დროს მოდიოდა გზად ახლა სხვა კაცი. დაინახეს
იმათ, იცნეს და უოხრეს: „ბიჭო, ეს ჩვენი ძველიაო“ და ახლა
ის აგვედევნა. ამათ მოემატათ მეოთხე, მეხუთე, მეექსე, ასე
რომ ნახევარი გზა ტაშკესანამდე, ათი თორმეტი კაცი მყავდა
გზაში აკიდებული: ზოგს ცხენის ჯილაბში ჰქონდა ხელი ჩავ-
ლებული, ზოგს უზანგში, ზოგს ძუში და ესე ყიუინითა და
ხარხარით მიმაცილებდნენ. ბოლოს თითო-თითოდ ჩამომრჩნენ
უკან და მარტო შეველ სოფელ ტაშკესანაში...

... ამ ლაპარაკის შემდეგ შიგ სოფელში დგომა ალარ მო-
ვინდომე. გამოველ იქვე, განაპიროს და ვუთხარი ბიჭს, აქ
გამიმართე ლოკინი. აქ დავბინავდეთ... ამ შეცილებაში
რომ ვიყავით, შევხედო თავს წამომდგომია ერთი კაცი

*) გურჯი - ქართველი, გურჯისტანი – საქართველო.

და ერთი დედაკაცი, გაუგიათ ჩვენი ლაპარაკი და ჩა-
მოერივნენ.—როგორ იქმნება აქ დგომა, განა სოფელი გა-
წყვეტილაო.. მითხრეს იმათ ორივემ ერთად და ჩამკიდა დე-
დაკაცმა ხელი კალთაში,—თუ სახლი არ მაქვს შესაფერი, ეზო
კარგი მაქვს, იქ დაბანაკლიო... არ მომეშვნენ და წამიყვანეს:..

მუშაობიდან მოდენილიყვნენ. ქალს ორი სათიბელი ჰქონდა
მხარზედ გადებული და კაცს პატა კონა მწვანე ბალახი და
კიდევ რაღაც-რაღაცები...

მიმიყვანეს სახლში. ცოლი იმ წამს ჯარასავით დატრი-
ალდა. მორწყო, დაგავა, დაასუფთავა ეზო და გამიშალა სა-
ფენი... წამოვწექ. მომისხდენ აქეთ-იქიდან ცოლი და ქმარი და
დამიწყეს ლაპარაკი... ხუთი წამის შემდეგ სულ გაიჭედა ხალ-
ხით ეზო, გზები და ბანები...

ვინც მოდიოდა, მეტყოდა: „აქ რად დაჰვდებულხარ“ ვი-
თომ აქ რად ჩამომხდარხარო? ყველას უნდოდა თავის სახლში
წავეყვანე, —აქ როგორ შეიძლება, ცისქვეშ როგორ დაგტო-
ვებთ! „ადე, წამო ჩემ სახლჩიო“, ყველა ამას მეუბნებოდა...
ამისთანა მიპატიუებამ თავმოყვარეობა აღუძრა იმ ცოლქმარს,
რომელთაც პირველად სოფელში შემომიპატიუეს და ყველას
ეუბნებოდენ: არავისაც არ დაგანებებთ, კაი საკადრისი სახ-
ლი არა გვაქვს, მაგრამ რაცა გვაქვს, ისე დავხვდებითო.

მართლაც დიასახლისი შეუდგა ოთახის მომზადებას და
ამას, კი ყურები დამაძრეს ლაპარაკით. მე რომ მეკითხნა
რამე, რიგიანად პასუხს არც კი მაძლევდნენ, სულ უნდოდათ მე
მელაპარაკნა და მეამბო მათთვის აქაური ჩვენი ქაოთველების
საქმეები... ერთმა ახალ მოსულმა მოპერა ყური ჩემს ქარ-
თულს, მიუბრუნდა ხალხს: — „ეგ ვინ არი, ჩვენი ნაგლეჯიაო?“ —
და წასქდა ხალხს სიცილი. მეც სიცილი მომივიდა. დიალ,
დიალ! თქვენი ნაგლეჯი ვარ, მაგრამ შენ ვიღას ნაგლეჯი ხარ
მეთქი? „მე მარტყოფის ნაგლეჯი ვარო“, მიპასუხა და „რა-
ტომ მარტყოფში არ მოიტანე თაშრიფიო?“ (მობრძანდიო).

„მეორე დღეს დილით ადრე წავედი ზემო მარტყოფისა-
კენ...“

„„აზორას რომ მივუახლოვდი, იქ, სოფლის პირში ორი
დედაკაცი წყალს აგსებდა. დამინახეს და გამართეს ლაპარაკი:
ერთმა სთქვა—ეს „საპაბიაო“, მეორემ უთხრა—„არა, ეს ჩვე-

წია, გურჯიაო“, — „არა, საჭაბიაო, ფარანგიაო“, „არა, ეს ჩვენი ძველია, გურჯია. ხანმა არა თქვა, ერთი ჩვენი ძველი ის-პაპანში ზისო“. და როდესაც ის პირველიც დაეთანხმა, წამოხტენ ორივენი, დაყარეს იქ წყლის ჭურჭელი და გაიქცინებ სოფლისაკენ. მირბოდნენ და ყველა გამვლელ-გამოვლელს ეუბნებოდნენ: „ჩვენი ძველი მოდის! გურჯი მოდის გურჯისტანი-დან!“

„სანამ შიგ სოფელში შევიდოდი, აუარებელი წალხი იყო ყველა გზებზედ გამოშლილი: კაცი და ქალი, დიდი და პატარა აქეთ-იქიდან მომძახოდა: აპვალი როგორა გაქვს?“¹⁾, „სალამ!“²⁾, „ჩალი როგორა გაქვს?“²⁾ მე ყველას თავს ვუკრავდი და მადლობას ვეუბნებოდი...“

შემდეგ გადადის აღგილობრივ ქართველების ყოფა-ცხოვრების აღწერაზე და მრავალი საყურადღებო ცნობებიც მოჰყავს:

„... ყველა სოფელში ერთნაირად ვერ არის დაცული ენა... ზოგიერთში ჩინებულად ლაპარაკობენ...“

„წალხი მისდევს იმასვე, რასაც მათი მოძმენი, ჩვენი სოფლის გლეხობა, ესე იგი: ზენას, ბალების მოშენებას, და საქონლის მოვლას. ხელობა და ვაჭრობა ისევე იშვიათია იქ, როგორც ჩვენში...“

„წალხს ტიპი ქართველისა საქმარისად აქვს შენახული..: სახლებს აშენებენ ისე, როგორც ქართლში იციან... ძალიან ხშირად შეხვდება აგრედვე კაცი უწინდელ ჩვენებურ დარბაზებს რამდენიმე სვეტით .. მთელს ირანში, გარდა ამათი. არავინ აშენებს ასეთ სახლებს... ეხლა ბევრგან მიუყვრათ იმათის წაბაძეით ხელი ისეთი სახლების შენებისათვის და სახელსაც „გურჯი ფუშს“ (ქართულად დახურულს) ეძახიან.“

„აქვთ ამათ აგრედვე ქართული, ნამდვილი ჩვენებური ურემი...“

„დღემდე თავის ქალებს აქაური ქართველობა არ აძლევდა სხვა ტომის წალხს და არც თითონ მოჰყავდათ ცოლებად სხვათა ქალები... ქართველებს წმინდათ შეუნახავთ თავისი გვარები... შეპრჩომიათ აგრეთვე ორი ჩვეულება, — მაგ. როდესაც ცომის ზელას მორჩებიან, ზედ ჯვარედინად დაპკრავენ ზელს, დღესასწაულობენ სულთმოფენობას (ყვავილების დღეს“.*“)

1) აპვალი — გარემოება, მდგომარეობა; 2) სალამ — გამარჯობა;

2) ჩალი — გუნება.

* „სპ. და იქ. ქართვ.“, 1896 წ. გვ. 201-202, 219-221.

ლ. ალნიაშვილის

ქოლექტივიდან

სპარსელი

ქართველები



დ ე რ ვ ი შ - მ ა . ჭ მ უ დ
სოფ. თელავიდან.



მადუსენა ყალაბეგიშვილი
ჭალატოზი და დურგალი



ალაჯან-ბეგ ხუციშვილი
(ხოდარამ ზანის შვილი)

(გადაღებული ლადო ალნიაშვილის შიერ საკუთარი ფოტოგრაფით)

სპარსეთმა და იქაური ქართველების ყოფა-მდგომა-
რეობის ადგილობრივ შესწავლა-გაცნობამ ლადო იმდენად
გაიტაცა, რომ იგი არავითარ გასაჭირს არ ერიდებოდა...
ამ იდეით შეპყრობილი, სპარსეთიდან მოწერილ ყოველ
კერძო წერილშიც უმთავრესად ამ საგანს დასტრიალებ-
და, მაგ. ალ. მირიანაშვილთან (1895 წ. აპრ. 22 გამო-
გზავნილი ¹⁾), სიკო აღნიაშვილთან (ნაწილი ამ წიგნაკში
იბეჭდება), და სხვ. სამწუხაროდ, ამ წერილების მცირე
ნაწილი თუა გადარჩენილი, დანარჩენი დაუდევრობით
დაიკარგა ²⁾.

აქ მოგზაურობის დროს ლადომ ისე კარგად შეი-
სწავლა სპარსული ენა, ლაპარაკი და წერა-კითხვა, რომ
შემდეგში იქაურ მეგობრებთან მიწერ-მოწერა ჰქონდა.
მის მიერ სპარსელ ქართველთა შორის გაბნეული თესლი
იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ ლადოს მოგზაურობის 10
წლის შემდეგ—1906-1907 წლ. საქართველოს ეწვივნენ
სპარსელი ქართველები ხუციშვილი და ონიკაშვილი. და
ჩვენგან კულტურული დახმარება ითხოვეს. ³⁾

ამავე მიზნით ჩიმოვიდა სეიფოლა იოსელიანი,
(1922 - 23 წ.).

სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ლადომ საზოგა-
დოებრივ პრაქტიკულ ასპარეზზე დაიწყო მოღვაწეობა
და მით გვიჩვენა, ხალხის საკეთილდღეოდ ჭრიშმარიტი

1) „თეატრი და ცხოვ.“ 1914 წ. 20, 42, 43.

2) ყველას ვსთხოვთ, თუ ვისმეს გადარჩენილი აქვს ლადო აღ-
ნიაშვილის (და ჩვენი მოღვაწე-მწერალთა) საზოგადოებრივ ხასიათის
კერძო წერილები, გამოგვიგზავნოს, ანუ საისტ.-საეთნ. მუზეუმს გა-
დასცეს.

ავტ.

3) „განათლება“ 1908 წ., 5—6.

მოქალაქე-მოლვაწე, საჭიროების დროს, როგორ ყოველ-
მხრივ უნდა მუშაობდეს.

რა იყოს ეს პრაქტიკული ასპარეზი?



სპარსელი ქართველები

ყოლა მრეზ ხუციშვილი და ყოლა ჰუსეინ ონიკაშვილი.

სოფლად გუშაობა (1896—97)

სოფ. საგარეჯომ, რომელიც კარგა დიდ დაბას წარ-
მოადგენს გარე-კახეთში და რომელსაც საკმაო ინტელი-
გენტური ძალებიცა ჰყავს, 1896—97 წლებში ლადო ალ-
ნიაშვილი მამასახლისად აირჩია.

ეს ამბავი რამდენად სასიამოვნო იყო, იმდენად გა-
საოცარი იმ ხანისათვის, მაგრამ ლადომ მაინც იკისრა
მამასახლისის მოვალეობა. მალე გამოირკვა, რომ ლადოს
შისწრაფება და მარიაგბლების მოთხოვნილებანი ერთი
მეორეს ვერ შეეწყვნენ: ლადომ ხელი მიჰყა სოფლის ყო-



სეიფოლა იოსელიანი—ფერეიდნელი ფოტ. გ. ჩლაიძესი
ფა-ცხოვრების გადახალისებისა და თვითმმართველობის
განხორციელებას. ის არ იყო პოლიციის მონა, ან სოფ-
ლიჭამიების ნებისყოფის აღმასრულებელი. ამიტომაც
ასეთმა ელევინტებმა აითვალწუნეს ლადო, ამას კი შედე-
გად მოჰყვა ლადოს გადადგომა მდგრადისობიდან...

კოლეგიაცია

(ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობა „შუამავალი“)

გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოს დაბა-სოფელ-ქალაქებს კალიასავით მოედო ჩარჩი-ვაჭარი, გლეხის ნაჭირნახულევი თითქმის მუქთად მიჰქონდა ჩარჩი-ვაჭარს, ხოლო მომხმარებელი მამასისხლად იძენდა საგნებს: სურსათ-სანოვაგესა და სხვ. ამ გარემოებამ გამოიწვია საგარეჯოს დეპოს დაარსება (80-ან წლებში, ცხვედაძის მიერ), მაჩხაანის დეპო (90—900 წლებში დ. მაჩხანელ-ნაღირაძის მიერ) და სხვ. ქ. ტფილისი სავსებით ჩარჩი-ვაჭრების ხელში იყო.

ლადომ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და განიზრახა ისეთი ამხანაგობის დაარსება, რომლის წყალობითაც შესაძლო იქნებოდა ჩარჩების კლანჭებიდან ნაწილობრივ მაინც თავის დაღწევა, სააღებ-მიცემო საქმის კოოპერატიულ საფუძველზე მოწყობა. მოფიქრება და შესრულება ერთი იყო. პირველ ყოვლისა შეადგინა გეგმა, დასწერა პროექტი შესდებისა *), რომელშიაც აი რა არის მოხსენებული:

§ 1. ამხანაგობასა აქვს საგნად გაუჩინოს ბაზარი მწარმოებელთ და შეუმსუბუქოს ხარჯი მომხმარებელთ (მყიდველთ), ე. ი. იქმნას ნამდვილი შუამამავალი მწარმოებელთა და მხმარებელთა შორის;

§ 2. ამ აზრით ამხანაგობა ყიდულობს და ჰყიდის ა) ყოველსავე საგანს აღგილობრივის წარმოებისას, როგორც მაგ.: ლვინოს, პურს, სიმინდს, ქერს, ფეტვს, მატყლს, აბრეშუმს, თამბაქოს, ზეთსა

*). პროექტი წესდებისა ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობისა „შუამავალი“-სა (მეორე გამოცემა მცირედის შეცვლით. 1896 წ.).

და ერბოს, ყველს, ხე-ტყეს, ხილეულს და სხ. და ბ) ყოველსავე ნაწარმოებს რუსეთის და სხვა ქვეყნებისას, როგორც მაგ.: ყოველგვარს მანქანებს (მაშინებს), იარაღებს დასაკრავსა და სამუშაოს, რკინეულს, აბრაშუმეულს, მატყლეულს, ბამბეულს, შუშეულს, საციქველს სახლისას, ყოველსავე ნივთს, რაც კი ყოველდღიურს საჭიროებას შეადგენს ჩვენს ცხოვრებაში;



„შუამაგალის“ პაი.

§ 7. ამხანაგობასა აქვს ნება: ა) შეიძიოს თავის საკუთრებათ ქონება უძრავი და მოძრავი, ბ) გამართოს და იქნიოს ქარხნები, სავაჭროები კანტორები, ბიუროები, სააგენტოები, საწყობები, მაღაზიები, სოფლის დუქნები, სარდაფები და სხ.

§ 8. თანხა ამხანაგობის შესდგება საწევრო გადასახადის პაის ფულიდან. ფასი თითო პაისა ერთი თუმანია.

შენიშვნა: ა) ეს ფული შეიძლება შემოტანილი იქმნას აგრედვე ნაწილ-ნაწილ; ბ) როდესაც ამხანა-გობა მოქმედებას შეუდგება— ამ ფულში შეიძლება მიღებულ იქმნას ჭირნახული;

§ 15. წევრს ამხანაგობისას, რამდენი პაის მფლო-ბელიც უნდა იყოს, მიენიჭება უფლება მხოლოდ ერთი ხმისა...

§ 25. მოგება განაწილდება ამგვარად: 30% მი-ეთვლება ძირის თანხას, 10% სათაღარიგოს და 60% მიეცემა დივიდენდათ პაის პატრონთ.

შენიშვნა: საზოგადოებას აქვს სრული უფლე-ბა გადასდოს საზოგადო საჭიროებისათვის რამე ნაწილი თავისი კუთვნილი დივიდენდიდგან».

ეს იყო მთავარი დებულებანი ქ. ტფილისის პირვე-ლი მომხმარებელი კოოპერატივის. „შუამავალი“-სა, სულ 300 პაი გამოვიდა, რომლებიც უმთავრესად მზარეულ-მოსამსახურეთა და ზოგიერთ ინტელიგენტთა შორის გა-ვრცელდა. 10 პაის პატრონი საპატიო წევრად ითვლე-ბოდა. (ამ საქმის წინასწარი კრებები იმართებოდა სან-დროა ბიჭის (ალ. თოიძის) სასტუმრო „პურლვინო“-ში, რუსთაველის გამზირი, ყოფ. გოლოვინის პროსპ. მუხრან-ბატონის სახლი).

„შუამავალმა“ დიდი გამოხმაურება ჰქოვა საზოგა-დოებაში. სულ შემოვიდა 3.000 მან., რაც დუქნის მოწ-ყობა-მომართვას მოხმარდა. სავაჭრო პირველხანად მოწ-ყობილი იყო კალოუბნის და ბაზრის ქუჩების კუთხეში, იარმუკაში. გამვეობა (ფირმის თავი— დავით გიორგისძე კარიჭაშვილი, გამგეობის თავმჯდომარე— ლადო ალნია-შვილი, დირექტორები—ივანე ქახეთელიძე და იასე მახა-რობლიძე) ბეჭითად შეუდგა საქმის გაჩაღებას. საზოგა-


დოების ნდობით ალჭურვილმა დირექტორებმა—ივ. კახე-
თელიძემა და იასე მახარობლიდემ თავთავისი საქმე მია-
ტოვეს და სრულიად ამ საქმეს მოჰყიდეს ხელი: პირადის
ნდობით (კრედიტით) საქონელი გამოიტანეს ტფილისის
ცნობილ სოვებარ-ვაჭრებისგან (ბაიანდუროვის, გირგი-
ლოვის და ნაზარბეგოვისგან) ჯა საქმე გააჩაღეს. დილი-
დან შუალამებდე ამ საქმეს დასტრიიალებდნენ: ლადო ალ-
ნიაშვილი თუ იდეურად ხელმძღვანელობდა, კახეთელიძე
და მახარობლიძე—პრაქტიკულად; მაგ. ყინულის შეგრო-
ვების დრო მოახლოვდებოდა—დირექტორები პირადათ
უძლვებოდნენ ამ საქმეს: იასე ქალაქის ერთის მხრისაკენ
გარბოდა, ვანო—მეორე მხარეს და ხელად დიდ საყინუ-
ლეს ავსებდენ... მალე ზორცის განყოფილებაც გააღეს.
საქმე კარგად მიდიოდა. მაღაზიას მოაწყდა მთელი ტფი-
ლისის მზარეულ-მოსამსახურეობა, — თვითეული მათგანი
თავს ამ მაღაზიის პატრონად ჰერძნობდა.

გარდა ამისა, აქ საქონელი კარგი ლირსების იყო,
იაფადაც იყიდებოდა.

საერთოდ გამგეობის და, კერძოდ, დირექტორების
მუყაითობით საბრუნავი თანხა 10,000 მანეთამდე ავიდა.
გამგეობამ განიზრახა თიონეთში განყოფილების გახსნა.
წარმოების გასაფართოებლად გამგეობამ მოიწვია სა-
განგებო კრება, რომელსაც გამგეობის განზრახვის ალ-
სრულებისთვის დასტური უნდა მიეცა... მაგრამ თურმე
მტერსაც არ ეძინა! ჩარჩ-ვაჭრები და საზოგადო საქმის
მეშულლენი ამ საქმის წარმოებას განა ვისმეს აპატი-
ებდნენ?

საქმე იქიდან დაიწყო, რომ „შუამავლის“ წარმატე-
ბით შესფოთებულმა ვაჭრებმა თავიანთ ოჯახის შევრებსა
და მზარეულებს აუკრძალეს „შუამავალ“-ში ვაჭრობა.

გარდა ამისა, საზოგადო კრებაზე გამოჩნდენ ისეთები, რომელთაც დაუმსახურებელი შეურაცყოფა მიაყენეს „შუამავალი“-ს ორთავ დირექტორს—მახარობლიძესა და კახეთელიძეს.



„შუამავალი“ს მარკა

პირადიმა შეურაცყოფაშ საზოგადო კეთილდღეობა დაჩრდილა, უბრალო შემთხვევას მოჰყვა სამწუხარო შე-

დეგი: ამ დიდი საქმის აქტიური მეთაურნი — კახეთელიძე და მახარობლიძე გავიდნენ, სრული ანგარიში-კი (ათი-ათას მანეთამდე საბრუნავი თანხა) გადასკეს ახალ გამ-გეობას.

საზოგადო კრებამ ახალი უჯამაგირო დირექტორები აირჩია, რომლებიც სახელით იყვნენ დირექტორებად: მათ თავთავისი საქმეები ჰქონდათ ცალცალკე. ლადო-კა, გარდა ამისა რომ ვაჭრობის უცნობი იყო, სწორედ ამ ხანებში გამარტებით მუშაობდა სალექსიკონო მასალაზე, ფირმის თავი დავით კარიჭაშვილი — ფორმალურად ექცე-ოდა მაღაზიას, — საჭირო თამასუქებს ხელსაცკი არ აწერდა: საქცე რომ დაიღუპოს — ვალი მე დამაწვებას. დირექ-ტორთა დაუდევრობით, უთანხობით და სხვა ძიხეზით მუშტარი თანდათან შემცირდა, ლადომ — დირექტორთა წასვლის შემდეგ — საქმეს თავი მიანება. როგორც „შუა-მავალი“-ს ერთი წევრთაგანიც, ყოფ. მოსამსახურე (ვასილ კირვალიძე) იგონებს, ლადო აღნიაშვილს დიდი იმედი ჰქონდა „შუამავალი“-ს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს იშედი არ გაუმართლდა — უმთავრესად იმიტომ, რომ მთელი ვაჭრები „შუამავალი“-ს წინააღმდეგ ამხედრდნენ და თვით „შუამავალი“-ს წევრნიც, რომელნიც იმავე ვაჭრების შზარეული, ან ხელზე მოსამსახურენი იყვნენ, მიიმხრეს... ამ ვაჭრების ინტრიგანობით და შეუგნებელ წევრთა უვი-ცობით დაიხურა „შუამავალი“.

მაგრამ ეს პირველი ნაბიჯი უშედეგოთ არ დარჩე-ნილა. მან ერთგვარი გავლენა იქონია საზოგადოებაზე, მოამზადა ნიადაგი გაფართოებულ კოოპერატიულ მო-ძრაობისათვის: რაც ამ 30—35 წლის წინად მხალოდ უნაყოფო ცდა იყო, ახლა მას ნაყოფი მოაქვს.

დაუღალავმა ხანგრძლივმა შრომამ წელში გასტეხა
ლადო აღნიაშვილი და სულიერადაც მოჰქანცა იგი, და-
სნეულდა. ექიმებმა სკრეს, რომ მას ტვინის სიღამბლე
დაემართაო და ლადო სულით სნეულთა საავადმყოფოში
მოათავსეს...

დასეულება და გარდაცვალება

ლადო აღნიაშვილი ოცი წელიწადი მოღვაწეობდა
საზოგადო ასპარეზზე. ახალ-ახალ საქმეთა დაწყება,
მათი გამარჯვებისათვის მეცადინეობა, მუდმივი სულიერი
ლელვა, განუწყვეტელი ზრუნვა... ხშირად—დახმარების
მაგიერ ხელის შეშლა, თანაგრძნობის მაგიერ—მტრობა.
ოცი წელიწადი შეუჩერებელი გონებრივი თუ ფიზიკური
შრომა, მწერლობა, პრაქტიკული საქმიანობა და სხვ.—
განა ყოველივე ეს მძიმე დაღს არ დაასვამდა აღამგანის
ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას?

უკანასკნელად ლადო ჩაიკეტა თავის კაბინეტში,
განუწყვეტლივ მუშაობს, წიგნებს ჩხრიკავს, კითხულობს,
სწერს...

— ახლა რა არის ლადო, ამდენი მუშაობა, გეყოფა,
გავიაროთ საღმე!.. ეტყვიან ახლობლები.

ლადო არასფერს ჰერძნობს დაღალვისას, მისი ში-
ნაურნი კი შეშფოთებულნი არიან: ვინ გაიგონა ამდენი
მუშაობა!

— ლადო, სოფელში უნდა წავიდეთ უეჭველიდ!—
ეტყვიან მას ისევ ახლობლები: ჰაერი გამოვიცვალოთ,
შენც გარგებს,—ჩვენც!

ლადო ჯერ უარობს, არ სთანხმდება, საქმეს ვერ
მოშორდება, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვება ნებას და
მიჰყვება მათ სოფელში, შილდას (კახეთი).

— აბა, აქ კუთხეში ერთი პატარა მაგიდა მომიშზა-
დეთ! — მოითხოვა ლადომ და ისევ წერას მიჰყო ხელი...

დღე-დღეს მისდევს. ლადოს გამალებითი მუშაობა
სოფელში შინაურთა შორის უკმაყოფილებას იწვევს, —
ჩურჩულებენ:

— „ეს ასე არ შეიძლება!“ — ბჭობენ თავისებურად, —
„ეს სიგიჟეა!“

და ერთს დღეს უფროსი ძმა, მხრებზე ხელის დაკვ-
რით, ეტყვის, თითქო ეხუმრებაო:

— რა არის სულ წერა და წერა! ამდენმა წერამ
ხო თავი გამოგილაყა, — სოფელში იმიტომ მოგიყვანეთ,
რომ მაგას თავი დაანებო და შეისვენო!

— ნუ თუ მართლა?! — გაიოცებს ლადო, ჩავა ეზოს
ბალჩაში საწერად, — არც აქ ასვენებენ: ყველგან ხელს
უშლიან, სდევნიან, აჩრდილებივით დასდევენ.

ლადომ სოფელში სივიწროვე, ხელის შეშლა იგრ-
ძნო და ერთხელ ლაპარაკში უწმაწური სიტყვები წამოუ-
რია! ამან თავზარი დასცა მის დას:

— თავაზიანი ლადო, მუდამ ზრდილობიანი და ასე
უწმაწური სიტყვები! — არა, უეჭველად შეიშალა! — ფიქ-
რობს იგი, — ამასვე ფიქრობენ დანარჩენი მახლობელნი.

ამას ერთი გარემოებაც დაერთო. ერთხელ ლადოს
და ნუმო აივანზე იჯდა გულ-ხელ დაკრეფილი, ლადოს
ვითომდა შერყევით მოსევდიანებული. ლადო გამოივლის,
შეხედავს და ჰქითხავს:

— რა გულ-ხელი დაგიკრეფნია, რას დალონებულხარ?

— რაღა მაქვს გასახარელი!

— ყველაფერი... დამაცა, მოკლეხანში აქ წიწმატიანის
წყაროს (შორეულ მთებშია) გამოგიყვან, მშვენიერ სახლებს
აგიგებ და შიგ ისე გაცხოვრებ, ქვეყანა შემოგნატროდეს!

ეტყვის ლადო ხუმრობით, რომ გუნებაზე მოიყვანოს სევდიანი დაც.

ეს სიტყვები ნუშოს თავზარს სცემს, ლამის გული გაუსკდეს, თვალებ-დაჭყეტილი შესცეკრის: სად წიწმა-ტიანის წყარო—სად ჩვენა, სად ლარიბი ლადოს მიერ სასახლის აგება!—არა ნამდვილად შეირყა, ნამდვილად!— ბოლმას იბრუნებს გულში ნუშო, მივა, წაუჩურჩულებს თავისიან-შინაურებს ლადოს ამბავს.

ყველა თავზარდაცემული, შიშით და სიბრალულით, შესცეკრის ლადოს.

ლადომ ვერ აიტანა ეს მდგომარეობა და გადაწყვიტა ტფილისს დაბრუნება: სამი კვირა არ გასულიყო, თავისი ძმისწული (მიტო) წამოიყვანა—ამას მე გავზრდი, კაცად ვაქცევო,—და წამოვიდა.

ტფილისს ჩამოსულს შილდიდან თან მოაყოლეს ხმა: უფრთხილდით, ლადო შეირყა, მუშაობას მოაშორეთო! ამ ცნობამ აქაც შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინა.

კახეთიდან დაბრუნებული ლადო ტფილისში სტამბისაკენ გაქანდა თავის მეგობარ სამსონ ინასარიძესთან:

— სამსონ, ერთი ჩემთან შემოიარე, წიგნის გამოცემას ვფიქრობ და სავარაუდო ხარჯ-აღრიცხვა შემიდგინე.

— რა წიგნია?

— შემოხვალ—გაიგებ.

— კარგი, შემოგივლი.

და მუდამ დაუზარელი, საქმის კაცი სამსონ ინასარიძე ეწვია ლადოს. ამ დროს ლადო თავის ძმასთან იყო ბინად.

— აბა, რა წიგნია? იკითხა სამსონმა.

— დიდი ლექსიკონი... 40—50 ათასი უნდა გამოიცეს.

ძმამ და სხვა შინაურებმა საიდუმლო საცოდავი გამომეტყველებით ურთიერთს გადახედეს და ოთახიდან გაიკრიბჩენ,—ეს გარემოება არ გამოეპარა სამსონს და ხელაბლად ეკითხება ლადოს:

— რაო, რამდენი?!

— 40—50 ათასი ცალი!

40—50 ათასი ცალი იმ დროს, როცა ქართული წიგნიერთი ათასი ცალი იბეჭდება, ესეც მთელი ათეული წლები გაუსაღებელია, იმ დროს, როცა თვითეული ახალი წიგნის ათეული ძლივს იყიდება, ლადოს უნდა გამოსცეს 40—50 ათასი ცალი!

— გიკვირს?! — ეკითხება ლადო.

— არა, გასაკვირი რა არის, — სამსონს სურს გაოცების შთაბეჭდილება გაფანტოს, — მაგრამ ამდენი ვის-თვისაა საჭირო, ეს ჭრთი, მეორეც: ძალიან ძვირი დაჯდება, დიდი ფული მოუნდება...

— შენ ფულზე ნუ ფიქრობ, მე ვიშოვი! — ეტყვის ლადო.

სამსონის გაოცებას საზღვარი არ უჩანს: ლადო ასე დიდ ფულს იშოვის, ის ლადო, რომელიც მუდამ ნივთიერად შევიწროვებული იყო, — სამსონმა რა იცის, რომ ლადოს საამისო გეგმა უკვე მზადა აქვს, არზაც დაწერილი, უმაღლესი მმართველის სახელზე, რომ ამ უსაჭიროეს წიგნისათვის, როკორც ლექსიკონია, თანხა გამოითხოვოს.

— ვიშოვნი მეთქი, შენ იანგარიშე!

სამსონშა უანგარიშა, მაგრამ ძლიერ უნუგეშოდ დაბრუნდა სტამბაში და თავის გადაქნევით ამხანაგებს გაუზიარა:

— მეონი ლადო შერყეულა: 40—50 ათასი ცალი ლექსიკონი უნდა გამოსცეს!

ყველას სინანული მოიცავს, — სამსონი უანგარიშოდ ხომ არ იტყვის ამ სიტყვას.

ეს ამბავი მალე მოეფინა ქალაქს...

ლადომ ტფილისშიაც შენიშნა ის განწყობილება თავის გარშემო, რაც სოფელში, და გული ჩაითხრო. ხან ალ. მირიანაშვილთან იყო, ხან ძმასთან. სახლიდან კარში აღარ გამოდიოდა. პერანგის ამხანაგის ამარა, ახალუხით, ქუდით, გულხელდაკრეფილი შეუჩერებლივ მიმოდიოდა ოთახში. თუ ვინმე ამოიკვნესებდა, ლადო შენიშნავდა:

— თქვენ რა გაკვნესებთ, მე მაქვს დასაკვნესი, რომ
ძარღვები მტკიცაო.

ხანდისხან ისე დამშვიდდებოდა, რომ კვლავ ლექსი-
კონს ჩაუჯდებოდა, წყნარად მუშაობდა... ამ ხანებით დი-
დი მთავრის სახელზე თხოვნაც კი დასწერა, ასეთ დიდ
საქმეს ვაკეთებ,— ლექსიკონს ვადგენ, — ამიტომ გთხოვთ
ამის დასაბეჭდი თანხა გაიღოთ რამეო,— სწერდა ლადო
და ამ თხოვნის შავი თავის დისტულს სიკო აღნიაშვილს
გაუგზავნა— გადასწერე და გაუგზავნეო, თან თავისიანთ
გაუზიარა: ყვავს კაკალი გააგდებინო, ისიც კარგია,— რას
იზამ, საქვეყნო საქმისთვის ხანდისხან მტრის დახმარები-
თაც უნდა ვისარგებლოთო და სხვ. მაგრამ ამ თხოვნას
გზა არ მისცეს,— ამაშიაც სიგიური კვალი შენიშნეს.

ლადოს თითქმის ყველა და ყველაფერი შეზიზლდა.
ლოგინი და საცვალი ჭუჭყიანად ეჩვენება, მალიმალ სი-
სუფთავეს მოითხოვს— ვარომ 1) დამიუთოვოს, სხვა ხელს
ნუ ახლებსო... მობეზრდა სახლში ყოვნა, საქმე კი გარედ
იწვევს. და ერთხელ, ახალუხ-ქუდისა და პერანგის ამარა
ქუჩაში გამოვიდა, ქალაქის შუაგულისკენ გასწია, საცა
სტამბა ეგულებოდა.

— სად მიხვალ?

— საქმე მაქვს!

დაედევნენ შორიახლო. წინ ძმა და დისტული სიკო
შემოეგებნენ:

— ოჰ, ლადო, საით, კაცო ასე მარტოკა?..

— საქმეზე მივალ.

— თვითონ ჩვენ მიგიყვანთ, საღაც გინდა...

და მოთათბირებით დააბრუნებენ სახლში. გრძნობს,
რომ მოატყუეს. სულშეხუთული ლადო, სხვათა შეუმჩნევ-
ლად, სახლის ბანზე ავიდა, რომ ქალაქს თვალი გადაავ-
ლოს, ჰაერით ისუნთქოს.

— არიქა, უშველეთ!— იძახიან მეზობლები: საგიურთ-
ში წაიყვანეთ, თორემ ბანიდან გადმოვარდება და დაიმ-
ტვრევა!

1) რძალი— დისტულის სიკო აღნიაშვილის მეუღლე.

და მართლაც საგიუვეთში ჩაკეტეს (მაშინ მიხეილის სავადმყოფოს სულით სწორი განყოფილებაში), სადაც თითქმის 4 წელს ეწამა და ამ წამებაში განუტევა სული 1904 წ. აპრილის 10 (ძვ. სტ.) თითქმის ყველასაგან მივიწყებულმა მხოლოდ შინაურებს-ლა თუ აგონდებოდათ ხოლმე. გარეშეთაგან ერთადერთი უცხო ადამიანი იყო, ხარლ. სავანელის ქვრივი ეკატერინე, რომ სწორი ლადოს დიდის მხრუნველობით დასტრიალებდა თავს *).

როგორც ვსთქვით, 4 წლის განმავლობაში არავის მოჰკონებია, ერთსაც კი არ უნახავს (შინაურთ გარდა). დაკრძალვის დღეს კი (აპრილის 17) მოიგონეს: ახმაურდა იმ დროის პრესა, შეიძრა საზოგადოება. დასაფლავებას დაესწრენ ადგილობრივი უურნალ-გაზეთების, ქალაქის გამგეობის, სასწავლებლების, ქ. შ. წ. ქ. ს., ქართ. დრამ. საზ. გამგეობის წარმომადგენელნი, ინტელიგენცია, არტისტები და დიდძალი ხალხი. შეამჭეს გვირგვინებით და სიტყვებით (ივ. რატიშვილმა, ირ. ევდოშვილმა ლექსით, ალ. მჭედლიშვილმა - ლექსით). დაკრძალეს და, — მიივიწყეს: სამარეზე მარმარილოს ძეგლის სვეტი დააღვა მისმა დამ ნუშომ იმ თანხით, რომელიც აიღო ლადოს მდიდარი ბიბლიოთეკის გაყიდვით. ლ. აღნიაშვილი დაკრძალულია კუკის სასაფლაოზე, ეკლესის მარჯვენა (შესავლიდან) ხეივანის ზემოდ, მარცხნივ გზის პირას მსახიობ-მოღვაწეთა რივზე.

ასე უდროოდ ამოეფარა მიწას კაცომოყვარეობით ალსავსე დადი მოღვაწე!..

იოსებ იმედაშვილი

* 1 ტფილისის მთავარ სავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ფსიქიატრულ განყოფილების საძველეთსაცავში ბევრი ვეძებეთ ლადო აღნიაშვილის ავადმყოფობის შესახებ ცნობები (სწორი განყოფილების ისტორია), მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინეთ, რადგან ეს სიცველეთსაცავი 1927 წ. ერთ მოსამსარეთაგანს გაეძარცვნა და ქალადები ფუთობით გაეყიდნა დუქნებში.

ავტ.

ଓৱে 65 মুৰি.

